პროლეტარეპო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 198 (9666) | შაბათი, 22 აგვისტო, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერშია:

გადამწყვეტი ეტაპი საშემოდგომო თესვისათვის მზადებაში — **მოწინავე** (1-ლი გვერდი).

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. მ. მალენკოვმა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია** (1-ლი გვერდი).

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა დაათვალიერა ინდოეთის სახვითი ხელოვნების გამოფენა** (1-ლი გვერდი).

**საინფორმაციო ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ** (1-ლი გვერდი).

**სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში** (1-ლი გვერდი).

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები.** — კამათი საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. მ. ბაქრაძის**, დეპუტატების **მ. ი. კუპავას**, **ა. თ. ხელიძის**, **შ. ს. რეხვიაშვილისა** და **მ. ყ. ყულიევის** სიტყვები (მე-2 და მე-3 გვერდი)

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## გადამწყვეტი ეტაპი საშემოდგომო თესვისათვის მზადებაში

ახლახან დამთავრებულმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ მიიღო კანონი „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, რომელშიც ასახულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა საბჭოთა ადამიანების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ამაღლებისათვის, მათი სასიცოცხლო ინტერესებისათვის.

ჩვენს დიად ქვეყანაში უმოკლეს ვადაში სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობის ამოცანის განხორციელების საქმეში საპატიო წვლილი უნდა შეიტანოს სოფლის მეურნეობამ, რომელიც ამარაგებს მოსახლეობას სურსათით, ხოლო მსუბუქ მრეწველობას ნედლეულით. ამიტომ ბუნებრივია, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე დეპუტატებმა დიდი ყურადღება დაუთმეს სოფლის მეურნეობის შემდგომ მძლავრი აღმავლობის აქტუალურ საკითხებს, სამართლიანი კრიტიკული შენიშვნები გააკეთეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს მიმართ და საქმიანი წინადადებანი წამოაყენეს მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, კოლმეურნეობათა შრომითი რესურსების უკეთ გამოყენების, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველმხრივ განვითარებისა და განმტკიცების, მოსავლიანობის გადიდების ყველა შინაგანი რეზერვის მთლიანად გამოყენების საჭიროების შესახებ.

სესიაზე დეპუტატთა გამოსვლებში სხვა სასოფლო-სამეურნეო საკითხებთან ერთად ყურადღება გამახვილებული იყო საშემოდგომო თესვის საუკეთესოდ მომზადებისა და მოწყობის საკითხზე.

პურეულის მოსავლიანობის გადიდების საკითხი არსებითად ამ შემოდგომაზე წყდება. დავთესოთ საშემოდგომო კულტურები საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში. აგროტექნიკის ამ ძირითად მოთხოვნას არღვევენ. შარშან საქართველოში საშემოდგომო კულტურების თესვა დეკემბრის დამლევამდე გაჭიანურდა, რამაც საგრძნობლად შეამცირა მოსავალი. ამ მწარე გაკვეთილიდან ბევრგან წელსაც არ გამოაქვთ სათანადო დასკვნა და აგვიანებენ წინასწარ მზადებას. ხორბლის ნაწილი ანეულში ითესება. ანეულის გულმოდგინე დამუშავება საშუალებას გვაძლევს აღვკვეთოთ მიწის დასარევლიანება, გავადიდოთ ტენის მარაგი ნიადაგში, მაშასადამე, ანეული საშემოდგომო კულტურების უხვი მოსავლის მიღების გადამწყვეტი პირობაა. დიდია მანქანა-ტრაქტორთა სადგურების როლი ანეულის დამუშავებაში. მაგრამ მტს-ები ჯერჯერობით სუსტ საწარმოო დახმარებას უწევენ ამ მხრივ კოლმეურნეობებს. საქმის ინტერესები მოითხოვს გადაჭრით გაძლიერდეს ანეულის დამუშავების ტემპი და იგი დათესვამდე ვიქონიოთ სუფთა, ფხვიერ მდგომარეობაში.

დამაფიქრებელი მდგომარეობაა რესპუბლიკაში საშემოდგომო ხვნის მხრივ. ხვნის ახლანდელი ტემპი არ შეესაბამება მტს-ების გაზრდილ ტექნიკურ აღჭურვილობას და იმ შესაძლებლობებს, რომლებიც მათ აქვთ. არიან მტს-ები, რომლებიც დიდად ჩამორჩნენ ხვნაში. ეს უწინარეს ყოვლისა ითქმის ალვანის, ენისლის, ბოლნისის, სტალინირის მტს-ების შესახებ, რომელთა დირექტორებს ამხ. გ. მამუკიშვილს, ე. ლომოურს, ა. გრიგოლიას და გ. გახელაძეს არ აღელვებთ ჩამორჩენა ნიადაგის მომზადების საქმეში, ისინი სათანადო ღონისძიებებს არ ახორციელებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, ისევე როგორც კოლმეურნეობებს, სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ საშემოდგომო კულტურების და პირველ რიგში ხორბლის მოსავლიანობის გეგმების შესრულებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ხვნის წესების დაცვა. მოდის სიგნალები იმის შესახებ, რომ მთელი რიგი მანქანა-ტრაქტორთა სადგურები უხეშად არღვევენ აგროტექნიკის მოთხოვნებს. სუსტია აგრონომიული კონტროლი. გორის მტს-ში არიან ისეთი სატრაქტორო ბრიგადები, რომლებიც საშემოდგომოდ ნიადაგს 10-12 სანტიმეტრის სიღრმეზე ხნავენ ნაცვლად 20-22 სანტიმეტრისა, ამასთან სტოვებენ ხარვეზებს. აგროტექნიკის დარღვევის ფემთხვევებია ტიბაანის, ულიანოვკის, ალვანის მტს-ებშიც. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს მტს-ების მთავარმა სამმართველომ (უფროსი ამხ. ს. ვაჩეიშვილი) ქმედითი ზომები უნდა მიიღოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ საშემოდგომო ხვნის, ანეულის დამუშავების დავალებათა დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო მოწოდებული არიან დარაზმონ კოლმეურნეები და მექანიზატორები საშემოდგომო თესვისათვის მზადებაში ჩამორჩენის უახლოეს დღეებში დასაძლევად და თესვის მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩასატარებლად.

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. მ. მალენკოვმა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

20 აგვისტოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **გ. მ. მალენკოვმა** მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია — პრემიერ-მინისტრი ოტო **გროტევოლი**, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვალტერ **ულბრიხტი**, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ოტო **ნუშკე**, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და მშენებლობის მინისტრი ლოტარ **ბოლცი**, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და ფინანსთა მინისტრი ჰანს **ლოხი**, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე პროფესორი **ე. კორენსი**, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ბრუნო **ლაიშნერი**, გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარე ჰერბერტ **ვარნკე**, თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ერიჰ **ხონეკერი**, სოფლისა და სატყეო მეურნეობის მინისტრი ჰანს **რაიმელტი**, საგარეო და გერმანიის შინავაჭრობის მინისტრი კურტ **გრეგორი**, მეტალურგიული და სამთამადნო მრეწველობის მინისტრი ფრიც **ზელბმანი**, მოსკოვში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის მეთაური რუდოლფ **აპელტი**, გერმანიის დემოკრატ ქალთა კავშირის წარმომადგენელი ილზა **ტილე**, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი პეტერ **ფლორინი**.

საბჭოთა მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: ამხანაგები **ვ. მ. მოლოტოვი**, **ნ. ს. ხრუშჩოვი**, **ნ. ა. ბულგანინი**, **ლ. მ. კაგანოვიჩი**, **ა. ი. მიკოიანი**, **მ. ზ. საბუროვი**, ფინანსთა მინისტრი **ა. გ. ზვერევი**, საშინაო და საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე **ი. გ. კაბანოვი**, სსრ კავშირის უმაღლესი კომისარი გერმანიაში ელჩი **ვ. ს. სემიონოვი**, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი **გ. მ. პუშკინი**.

მოლაპარაკება გულითად, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

## საინფორმაციო ცნობა
### საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1953 წლის 19 აგვისტოს, ქალაქ თბილისში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. **ა. ი. მირცხულავას** მოხსენება — საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული მეურნეობის მდგომარეობისა და მისი წარმოების გაუმჯობესების ღონისძიებათა და კომუნისტთა აღრიცხვის შესახებ.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: **ნ. ი. სტურუამ** (საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი), **ა. ბ. უთიაშვილმა** (საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომი), **ი. ა. გვილავამ** (საქართველოს კომპარტიის სუხუმის საქალაქო კომიტეტი), **მ. დ. ავალიანმა** (საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს რაიკომი), **გ. მ. მესხიძემ** (საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტი), **ბ. ე. ლომიძემ** (საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი), **ა. ა. ავაზაშვილმა** (საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომი), **ა. ა. ნოზაძემ** (საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომი), **პ. გ. გილაშვილმა** (საქართველოს კომპარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტი), **ა. ა. ბლრციანმა** (საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომი).

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

## ახალი საავტომობილო ვაგზალი

ლვოვი. (საკადესი). 15 აგვისტოს აქ გაიხსნა ახალი საავტომობილო ვაგზალი. მგზავრებს ემსახურება სამი კარგად მოწყობილი სამას-სამასადგილიანი ღარბაზი, რესტორანი. ვაგზალში არის დედისა და ბავშვის ოთახი და სამედიცინო პუნქტი.

50 ავტობუსი და მსუბუქი ავტომობილი აკავშირებს ლვოვს 13 რაიონთან, 12 საოლქო ცენტრთან და საბჭოთა უკრაინის დედაქალაქ კიევთან.

წლის დამდეგიდან ავტობუსებმა ხუთ მილიონამდე მგზავრი გადაიყვანეს.

## საკოლმეურნეო ბაზრებსა და სოფლის მაღაზიებში

პეტროზავოდსკი. ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებში ბევრი სახის სასურსათო საქონელია. პეტროზავოდსკის ახლომახლო მდებარე პრიონეჟის, პრიაჟინის და სხვა რაიონების კოლმეურნეებს ყოველდღე მოაქვთ ხორცი, რძე, ნაღები, ნედლი თევზი, კვერცხი. სავაჭრო ფარდულებში მაგიდებზე ბევრია კარტოფილი, ხახვი, პამიდორი, კომბოსტო. ახალი მოსავლის ბოსტნეულისა და ხილის შემოტანა დღითიდღე ძლიერდება.

წარსულ წლებთან შედარებით მიმდინარე სეზონში მნიშვნელოვნად გადიდდა ქალაქის ბაზრებში საგარეუბნო მეურნეობებიდან სასურსათო საქონლის შემოტანა. ზაიცევის სახელობის საგარეუბნო საბჭოთა მეურნეობამ უკვე ჩააბარა სავაჭრო ორგანიზაციებს 100 ტონაზე მეტი საადრეო ბოსტნეული.

პროდუქტების საბაზრო ფასები გასული წლისაზე მნიშვნელოვნად ნაკლებია.

აშხაბადი. ჩარჯოუს ოლქის დაშორებულ ხალაჩის რაიონში გაიხსნა საოჯახო საქონლის ახალი მაღაზია. მასში კოლმეურნეებს და მექანიზატორებს შეუძლიათ შეიძინონ საშენი მასალა, სასარაჯო ნაკეთობა, ავეჯი, საოჯახო ნივთები. ეს სოფლის მეურნეობისათვის რესპუბლიკაში უკანასკნელ დროს გახსნილი 21-ე საოჯახო საქონლის მაღაზიაა. (საკადესი).

## უხარისხოდ მოხნული ჰექტარები
### და გულდამშვიდებული ხელმძღვანელები

სიღნაღის რაიონში ჯერ კიდევ თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების პარალელურად შეუდგნენ საშემოდგომო თესვისათვის მზადებას: დაიწყეს ნამჯისაგან გაწმენდილი ფართობების ხვნა, თესლების დახარისხება, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მოწესრიგება.

ყოველივე ამას თითქოს საუკეთესო შედეგიც უნდა მოჰყოლოდა. მაგრამ, იმის გამო, რომ კარგად დაწყებულ საქმეს ბოლომდე არ მიჰყვნენ, რაიონის კოლმეურნეობებში საშემოდგომო თესვისათვის მზადება ჭიანურდება.

წელს აქაურ მშრომელებს შარშანდელთან შედარებით უკეთესი პირობები აქვთ საშემოდგომო ხვნის დროულად, მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის. მაგრამ ისინი ვერ იყენებენ ამ ხელსაყრელ პირობებს. საშემოდგომო ხვნის გეგმა რაიონში სანახევროდ არის შესრულებული, იმ დროს როცა მოსავლის აღება ერთ თვეზე მეტია დამთავრდა.

ხვნის ნელი ტემპი ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ კოლმეურნეობათა გამგეობები და მტს-ების დირექტორები ნაკლებად ზრუნავენ კომბაინით აღებული ფართობების ნამჯისაგან გაწმენდის დაჩქარებისა და ხვნაზე მომუშავე ტრაქტორების წარმადობის ამაღლებისათვის, რის შედეგად არც თუ ისე იშვიათია მანქანების მოცდენა ტექნიკური მიზეზებით. აგვისტოს მესამე ხუთდღიურში სოფლის მექანიზატორებმა საქობოს კენცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. ძანაშვილი) მხოლოდ 20 ჰექტარი მოხნეს, ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. ბეგიაშვილი) — 43 ჰექტარი, ხოლო ანაგის მალინოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. მჭედლიშვილი) არც ერთი ჰექტარი არ დაუმუშავებიათ. ამ ფაქტს გულდამშვიდებით შეჰყურებენ წნორისა და ალაზნის მტს-ების დირექტორები ვ. ჯავაშვილი და პ. გელაშვილი.

საშემოდგომო თესვის სანამუშოდ ჩატარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ხვნის მაღალი აგროტექნიკა. სამწუხაროდ, რაიონში ამაზე ცოტას ფიქრობენ, ხვნის აგროტექნიკის დარღვევა აქ ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ტიბაანის მტს-ის „დტ-54“ მარკის ორი ტრაქტორი უავტომატოდ მუშაობს სოფელ ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის „მილარის“ ნაკვეთებზე, ამიტომ 50 ჰექტარზე მეტი ფართობი უხარისხოდ არის მოხნული. კოლმეურნეობის გამგეობის უყურადღებობით ამ ნაკვეთის ბოლოში 7 ტონა მინერალური სასუქები გამოუყენებლად ყრია და ნადგურდება. ხვნის ხარისხის დაცვისადმი სრულ უპასუხისმგებლობას იჩენს სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირის მოადგილე გ. ზედელაშვილი, ხოლო კოლმეურნეობის ბრიგადირი დ. მოლოდინაშვილი ურიგდება აგროტექნიკის დამრღვევ მექანიზატორებს.

საშემოდგომო ხვნა თითქმის თვითდინებით მიმდინარეობს სოფელ ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. ემინდვრეობის ბრიგადირს ხშირად ვერ ნახავთ ხვნის ადგილზე. ამით სარგებლობენ უდარდელი ტრაქტორისტები და ნიადაგს წინასწარ გაუწმენდავად ხნავენ. კოლმეურნეობის გამგეობამ და წნორის მტს-ის დირექციამ არავითარი ზომები არ მიიღეს ამ კოლმეურნეობაში მომუშავე ტრაქტორისტების ვ. ვარდიაშვილისა და რ. თეგაშვილის მიმართ, რომელთაც „მილარის“ და „გუმბრიანის“ ნაკვეთები ზერელედ, უწინასახნისო გუთნებით მოხნეს.

### მზადება საშემოდგომო თესვისათვის

არა ცენტნერებისათვის, არამედ მარტო ჰექტარებისათვის „ბრძოლა გააჩაღა“ ტრაქტორისტმა მ. ნანობაშვილმა სოფელ საქობოს კენცხოველის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში. 12 ჰექტარი მიწა 5-6 სანტიმეტრის სიღრმეზე მოხნა.

არასახარბიელო მდგომარეობაა სათესლე მასალის მომზადების მხრივაც. კოლმეურნეობებში დასათესად შერჩეული საშემოდგომო ხორბლის თესლიდან 15 ათასი ცენტნერი უკონდიციო აღმოჩნდა. უფრო მეტი. ზოგიერთ კოლმეურნეობას არც ერთი ცენტნერი კონდიციური თესლი არ გააჩნია.

მტს-ების აგროპერსონალსა და მექანიკოსებს არ აფიქრებთ საშემოდგომო თესვისათვის მზადებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები. ისინი იმეიათად იმყოფებიან მინდვრის სამუშაოთა მიმდინარეობის ადგილზე, არ აწესებენ კონტროლს შესრულებულ სამუშაოთა ხარისხზე და არც დამვებულ დარღვევათა გამოსწორებისათვის იღებენ გადამჭრელ ზომებს. სუსტია სატრაქტორო ბრიგადებისადმი ტექნიკური დახმარება. არის შემთხვევები, როცა კოლმეურნეობები აგვიანებენ სატრაქტორო ბრიგადებისათვის საწვავისა და წყლის მიწოდებას.

რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციები სუსტად იბრძვიან აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორებისათვის, ისინი ხშირად არ არიან მინდვრის სამუშაოთა მიმდინარეობის ჯერზე. საშემოდგომო თესვისათვის მზადების საკითხებს პარტიულ კრებებზე იხილავენ ფორმალურად, ვალის მოხდის მიზნით; პარტიის რაიკომი მათ ვერ უწევს საჭირო ხელმძღვანელობასა და დახმარებას.

პარტიის სიღნაღის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდნენ ამ მდგომარეობას.

**ალ. ზურაშვილი,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა დაათვალიერა ინდოეთის სახვითი ხელოვნების გამოფენა

20 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა სსრ კავშირის კულტურის მინისტრის ბ. კ. პონომარენკოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ნ. მ. პეგოვის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ვ. ა. ზორინისა და სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილეების ს. ვ. კაფტანოვისა და ი. გ. ბოლშაკოვის თანხლებით ინახულა ინდოეთის სახვითი ხელოვნების გამოფენა, რომელიც მოთავსებულია სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზებში.

კ. ე. ვოროშილოვსა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ ინდოეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი, სრულიად ინდოეთის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საზოგადოების საპატიო გენერალური მდივანი ბარადა უკილი, ინდოელ მხატვართა დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირში გამოფენასთან ერთად ჩამოვიდა, და მოსკოვის სამხატვრო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტის ა. მ. გერასიმოვის მეთაურობით.

კ. ე. ვოროშილოვი ორი საათის განმავლობაში ათვალიერებდა ინდოელი მხატვრების სურათებისა და ქანდაკებების გამოფენას. (საკადესი).

## სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

**რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში მუშა ქალი კოლექტივის სრულუფლებიანი წევრია. ბევრი ქალი კვალიფიციური ოსტატი და ინჟინერი, შრომის მოწინავე ვახდა. სურათზე: ეკატერინე ბორუგე, ერთ-ერთი პირველი მეტალურგი ქალი, რომელიც მუშაობს კარანსებეშის რაიონის ქარხანა „ოტლულ როშიუში“ („წითელი მხსნელი“).**
**რუმინეთის დეპეშათა სააგენტოს ფოტო.**

## აბრეშუმსაძსოვი მრეწველობის განვითარება ჩინეთში

შანხაი. (საკადესი). ცენტრალურ-სამხრეთ ჩინეთში გუანდუნის პროვინციის კლიმატური პირობები განსაკუთრებით ხელსაყრელია მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის. გუანდუნი ძველთაგანვე ცნობილია თავისი აბრეშუმით, მაგრამ გომინდანელთა ბატონობის დროს ამ პროვინციის აბრეშუმსაქსოვი მრეწველობა მთლად დაეცა. ამჟამად გუანდუნში კვლავ მუშაობს 11 დიდი და 15 პატარა აბრეშუმსაქსოვი და აბრეშუმსართავი ფაბრიკა. ამ ცოტა ხნის წინათ შუნდეს რაიონში დაიწყო ახალი აბრეშუმსართავი ფაბრიკის მშენებლობა, რომელიც პროვინციაში აბრეშუმსაქსოვი მრეწველობის უდიდესი საწარმო იქნება. ფაბრიკა მწყობრში ჩადგება მიმდინარე წლის ნოემბერში.

## სოციალისტური შეჯიბრება უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის მუშებს შორის

ბუდაპეშტი. (საკადესი). ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთს შორის უკანასკნელი წლების მანძილზე დამყარებული მეგობრული ურთიერთობის ერთ-ერთი ფორმაა ორი რესპუბლიკის მუშების სოციალისტური შეჯიბრება. ასეთი შეჯიბრება გაჩაღებულია, კერძოდ, ინოტის (უნგრეთი) 7 ნოემბრის სახელობის ელექტროსადგურის მშენებლობაზე, სადაც ჩეხოსლოვაკიელი მუშებიც მუშაობენ. უკვე თვეზე მეტია ერთმანეთს ეჯიბრებიან ანტალა საბოს ბრიგადა (უნგრეთის ტატაბანიის შახტი) და ჩეხოსლოვაკიელი მეშახტეს ანდრია მიხალოვის ბრიგადა. შეჯიბრების მსვლელობაში ორივე ბრიგადამ გაადიდა შრომის ნაყოფიერება. ა. მიხალოვის ბრიგადამ ივლისის გეგმა 136 პროცენტით შეასრულა.

ჩეხოსლოვაკიის მეშახტეთა ინიციატივით უნგრელ მეშახტეთა შორის ფართოდდება მოძრაობა კვირის გეგმის ხუთ დღეში შესრულებისათვის.

## სახეს იცვლის გულგარეთის სოფელი

სოფია. (საკადესი). დიდი ცვლილებები მოხდა ბულგარეთის სოფლებში სახალხო ხელისუფლების წლებში. წარსულში სოფლებში არასოდეს არ აშენებდნენ იმდენ საცხოვრებელ სახლს, საზოგადოებრივ შენობას, საწარმოო ნაგებობას, რამდენსაც ახლა. პაზარჯიკის ოკოლიის სოფელ მალო კონარში სახალხო ხელისუფლების წლებში აშენდა ახალი საავადმყოფო, რომელსაც აქვს სამშობიარო განყოფილება და სბავშვო ბაგა, და 350 საცხოვრებელი სახლი. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში სულ ბულგარეთის სოფლებში აშენდა 41 ათასი ახალი საცხოვრებელი სახლი და ათი ათასამდე ახალი სამეურნეო ნაგებობა.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურება. 1952 წელს სტაციონარული კინოთეატრების რაოდენობა 21-ჯერ მეტი იყო, ვიდრე 1939 წელს. 883 სოფელი რადიოფიცირებულია.

## მოსავლის აღება პოლონეთში

ვარშავა, (საკადესი). პოლონეთის პრესის სააგენტოს ცნობით, 12 აგვისტოსათვის პოლონეთში მომკილი იყო ჭვავის, პურის, ქერისა და შვრიის ნათესების დაახლოებით 97 პროცენტი. მომკილი პურის 88 პროცენტი უკვე გატანილია მინდვრებიდან.

მოსავლის აღებისა და ლეწვის ცენტრალური კომისია იუწყება, რომ წელს პოლონეთში მოსავლის აღება უფრო მაღალ დონეზე და შემჭიდროებულ ვადებში მიმდინარეობს, ვიდრე შარშან. მოსავლის აღების კამპანიის წარმატებით განხორციელებას ხელს უწყობს სამანქანო პარკის გადიდება და მანქანების უკეთ გამოყენება,

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომაგი

# კამათი საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ვ. მ. ბაქრაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

1953 წლის ბიუჯეტას პროექტი, რომელიც შემოტანილია უმაღლესი საბჭოს ამ სესიის განსახილველად, საკავშირო უზრუნველყოფს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების დავალებათა დაფინანსებას მეხუთე ხუთწლედის მესამე წელს.

საქართველოს სსრ ბიუჯეტი ყველაზე მკაფიოდ ასახავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინურ ნაციონალურ პოლიტიკას, რაც მიმართულია ეროვნული რესპუბლიკების სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყოველმხრივ განვითარებისაკენ, აგრეთვე საბჭოთა სახელმწიფოს დაუღალავ მზრუნველობას მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლებისათვის.

ბიუჯეტის მთელი შემოსავლიდან, რაც 2.692.716 ათას მანეთს შეადგენს, 720,9 მილიონი მანეთი შემოდის მრეწველობიდან, სოფლის მეურნეობიდან და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან. ეს კი მოწმობს სერიოზულ მიღწევებს სოციალისტური ეკონომიკის განმტკიცების საქმეში.

ბიუჯეტის ხარჯებში მთავარი ადგილი უკავია სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა შემდგომი განვითარების დაფინანსებას.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 747 მილიონი მანეთი. გარდა ამისა, სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად, ამავე მიზნებს მოხმარდება 546 მილიონი მანეთი საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საკუთარი სახსრებიდან.

ამრიგად, სულ სახალხო მეურნეობის დაფინანსებას 1953 წელს მოხმარდება 1.294 მილიონ მანეთზე მეტი, ნაცვლად 1952 წლის 1.139 მილიონი მანეთისა.

გამოხატავს რა საბჭოთა სახელმწიფოს განუხრელ ზრუნვას მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის, საქართველოს სსრ ბიუჯეტი ითვალისწინებს ხარჯების მნიშვნელოვან ზრდას განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის. ეს ხარჯები მიმდინარე წელს შეადგენს 1.721 მილიონ მანეთს, ნაცვლად 1952 წლის 1.618 მილიონი მანეთისა.

1953 წლის ბიუჯეტი აგებულია ისე, რომ არ არსებობს არც ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც სრულად არ იყოს უზრუნველყოფილი საფინანსო დაფინანსებით. ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ 1953 წლის გეგმით დასახული ყველა ღონისძიების სრულად და დროულად განხორციელება.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელს, როდესაც ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი გადაჭარბებით შესრულდა, მისი გასავლის ნაწილი არ შესრულებულა ამის გამო, რომ განათლების სამინისტროსა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სრულად არ განუხორციელებიათ მთელი რიგი ღონისძიებანი.

როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ 1953 წლის ბიუჯეტი განიხილა და დამტკიცა საერთო თანხით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ, რომელიც მიმდინარეობდა საბჭოთა ხალხის განსაკუთრებული პატრიოტული აღმავლობის და მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო დარაზმულობის ვითარებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში თავისი გამოხატულება ჰპოვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სწორმა პოლიტიკამ, რაც მიმართულია სსრ კავშირის სოციალისტური სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისაკენ, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისაკენ.

სესიაზე გამოსულმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა მალენკოვმა ყოველმხრივ დაასაბუთა ის უდიდესი ამოცანები, რომლებიც კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ დასახეს ჩვენი მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის უდიდესი მიღწევების საფუძველზე დასახულია სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობის ორგანიზაციის ამოცანა. ამასთან, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა შემდეგშიც ყოველმხრივ განავითარებენ მძიმე ინდუსტრიას, რომელიც წარმოადგენს მთელი ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის საფუძველთა საფუძველს.

დასახულია, როგორც გადაუდებელი ამოცანა, 2-3 წლის განმავლობაში მკვეთრად გადიდდეს მოსახლეობის უზრუნველყოფა სასურსათო და სამრეწველო საქონლით, ხორცითა და ხორცის პროდუქტებით, თევზითა და თევზის პროდუქტებით, ერბო-კარაქით, შაქრით, საკონდიტრო ნაწარმით, ქსოვილებით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ჭურჭლით, ავეჯით და კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა საოჯახო საგნებით.

პარტია და მთავრობა მოითხოვენ, რომ უაღრესად სერიოზული ყურადღება მიექცეს სახალხო მოხმარების ყველა საქონლის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას.

ბოლო უნდა მოვუღოთ ჩვენი მრეწველობისათვის ისეთ სამარცხვინო მოვლენას, როდესაც მყიდველი ხშირად ამჯობინებს უცხოური წარმოების საქონელს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ლამაზად არის გაფორმებული.

იმისათვის, რომ საქმით უზრუნველვყოთ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობა, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მოითხოვენ ვიზრუნოთ, უწინარეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და აღმავლობისათვის.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში მიღწეულია დიდი წარმატებანი, წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება კოლმეურნეობათა სიზზოგადოებრივი მეურნეობა, დიდდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. მიუხედავად ამისა, პარტიასა და მთავრობას მიაჩნიათ, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ახლანდელი დონე არ შეესაბამება სოფლის მეურნეობის გაზრდილ ტექნიკურ შეიარაღებას ორ თვით საკოლმეურნეო წყობილებაში არსებულ შესაძლებლობებს.

მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახულია, როგორც გადაუდებელი ამოცანა, — მთლიანად სოფლის მეურნეობის საერთო აღმავლობისა და კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საფუძველზე, უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში მივაღწიოთ იმას, რომ შეიქმნას ჩვენს ქვეყანაში სურსათის სიუხვე მოსახლეობისათვის და ნედლეულისა — მსუბუქი მრეწველობისათვის.

ამ ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად სსრ კავშირის მთავრობამ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნიეს განახორციელონ მთელი რიგი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი სწრაფი აღმავლობის უზრუნველყოფისათვის და, უწინარეს ყოვლისა, ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც გამოიწვევენ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ეკონომიურ დაინტერესებას სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგების განვითარების საქმეში. ამასთან დაკავშირებით, პარტიამ და მთავრობამ გადაწყვიტეს უკვე მიმდინარე წელს გაადიდონ ისეთი პროდუქტების დასამზადებელი ფასები, როგორიც არის: ხორცი, რძე, მატყლი, კარტოფილი და ბოსტნეული, რასაც კოლმეურნეობები და კოლმეურნეები აბარებენ სახელმწიფოს სავალდებულო ჩაბარების წესით, ისე, რომ არ გადიდეს საცალო ფასები ვაჭრობაში და განუხრელად განხორციელდეს ამ ფასების შემდგომი შემცირების პოლიტიკა.

გადაწყდა აგრეთვე ფართო მასშტაბებით მოეწყოს გარდამტეხი მარცვლის, ბოსტნეულის, კარტოფილის, ხორცის, რძის, კვერცხისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა გადიდებულ ფასებში იმ კოლმეურნეობებისაგან, რომლებმაც შეასრულეს სავალდებულო ჩაბარებანი. სერიოზული დახმარება გაეწევა კოლმეურნეობებს იმ მხრივაც, რომ მოეწყობა ზედმეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღება საკოლმეურნეო ბაზრებში სამომხმარებლო კოოპერაციის მეშვეობით.

მთავრობამ და პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ცნეს მნიშვნელოვნად შეამცირონ სავალდებულო ჩაბარების ნორმები კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობისაგან, აგრეთვე გადაწყვიტეს შეცვალონ სასოფლო-სამეურნეო გადასახადთ კოლმეურნეთა დაბეგვრის სისტემა, ამასთან შეამცირონ ფულადი გადასახადი საშუალოდ ერთიორად, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალ კანონში. ამრიგად შექმნილია სტიმულის მიმცემი ყოველგვარი პირობები ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის და იმისათვის, რომ მოეწყოს მისი ახალი მძლავრი აღმავლობა.

ახალ ამოცანებთან დაკავშირებით ჩვენ კრიტიკულად უნდა განვიხილოთ საქართველოს სსრ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაობა, რათა აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი და უზრუნველვყოთ პარტიისა და მთავრობის დირექტივების წარმატებით შესრულება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მთავრობის უდიდესი სისტემატური დახმარების შედეგად და დიდი რუსი ხალხის ძმური მხარდაჭერით, საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური ეკონომიკის, კულტურისა და ხელოვნების განვითარების საქმეში.

წარსულში ცარიზმის ჩამორჩენილი კოლონიიდან საქართველო საბჭოთა ხელისუფლების წლებში გადაიქცა მძლავრად განვითარებული მრეწველობისა და მოწინავე სოციალისტური სოფლის მეურნეობის ქვეყნად.

ყოველწლიურად მილიარდობით მანეთი ხმარდება ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებას. უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში (1928-დან 1952 წლამდე) საქართველოს სახალხო მეურნეობაში კაპიტალდაბანდებამ შეადგინა 22 მილიარდ მანეთზე მეტი, აქედან 8 მილიარდ მანეთამდე დაბანდებულია მძიმე მრეწველობაში.

შექმნილია მრეწველობის სრულიად ახალი დარგები, რომლებიც წინათ არ ყოფილა საქართველოში, როგორც, მაგალითად, მეტალურგიული, საავტომობილო, ფეროშენადნობის, დაზგათმშენებლობის, ნავთობის გადამუშავებისა და ნავთობის მოპოვების, ქიმიური, ცემენტის და სხვა დარგები. ახლად რეკონსტრუირებული და მნიშვნელოვნად გაფართოებულია მარგანეცის მადნის მომპოვებელი საწარმოები, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები, აშენდა მძლავრი შახტები და მოეწყო ქვანახშირის მოპოვება ტყვარჩელში, ახალციხეში, მწყობრში ჩადგნენ ქართველი ხალხის სიამაყე ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა და ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, შენდება მეხერალური სასუქის დამამზადებელი ქარხნები, შექმნილია ახალი სამრეწველო ქალაქები, როგორც რუსთავი და ტყვარჩელი, აშენდა და მწყობრში ჩადგა მსუბუქი და კვების მრეწველობის ათობით ახალი საწარმო.

1927-28 წლებთან შედარებით 1953 წელს მარგანეცის მოპოვება დიდდება თითქმის 15-ჯერ, ქვანახშირისა—28-ჯერ — 47-ჯერ, შალის ქსოვილების გამომუშავება — 28-ჯერ, აბრეშუმის ქსოვილების გამომუშავება — 233-ჯერ, ტყავის ფეხსაცმლისა — 34-ჯერ, ჭონსერვის წარმოება — 50-ჯერ და პირველადი დამუშავების ბაიხარ ჩაის გამომუშავება — 10-ჯერ.

საქართველოს ტერიტორიაზე მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1952 წელს 1937 წელთან შედარებით 157,6 პროცენტით გაიზარდა, 1940 წელთან შედარებით — 91,1 პროცენტით.

რაც შეეხება მეხუთე ხუთწლედის დავალებათა შესრულებას — საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 1951 წელს 108 პროცენტით, ხოლო 1952 წელს — 102 პროცენტით.

1953 წლის პირველ ნახევარში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, ამასთან მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება 1952 წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა 11 პროცენტით.

საჭიროა აღინიშნოს, რომ, მაშინ როცა მთლიანად სამრეწველო წარმოების გეგმა შესრულებულ იქნა, მოიპოვებიან ცალკეული სამინისტროები და ათობით საწარმოები, რომლებიც ცუდად მუშაობენ და სახელმწიფო გეგმებს ვერ ასრულებენ.

ეს, უწინარეს ყოვლისა, შეეხება საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, კომუნალური მეურნეობისა და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტროს, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სისტემას და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საწარმოებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი ჩამორჩენა დაუშვეს წლის პირველ ნახევარში. მეორე კვარტალში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა არ შეუსრულებია 250 საწარმოს, მათ შორის საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობას სამინისტროს სისტემის 137 საწარმოს, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს 21 საწარმოს, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს 12 საწარმოს, სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს 3 საწარმოსა და სარეწაო კოოპერაციის 77 საწარმოს.

კიდევ უარეს მდგომარეობაშია გეგმის შესრულება ნატურისა და ასორტიმენტის მიხედვით. წლის პირველ ნახევარში არ შესრულებულა 25 სახის მნიშვნელოვანი პროდუქციის გამოშვების გეგმა. რესპუბლიკური მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის ბევრი საწარმო კვლავ უშვებს დაბალი ხარისხის პროდუქციას, რომელზეც მოსახლეობაში მოთხოვნილება არ არის. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდად არის საქმე საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში. ყველაფერი რიგზე ვერ არის აგრეთვე ფეხსაცმლის საწარმოებში.

მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის დარგში ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა ცალკეული დარგების, განსაკუთრებით საშენ მასალათა მრეწველობის, ჩამორჩენის ლიკვიდაცია, სახელმწიფო გეგმის შესრულების უზრუნველყოფა უკლებლივ ყველა საწარმოს მიერ ყოველგვარი სახის ნაწარმის მიხედვით. საქონლის ასორტიმენტისა და ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება და თვითღირებულების შემცირება, საწარმოთა სიმძლავრის უკეთ გამოყენების, ახალი ტექნიკის, მუშაობის მოწინავე მეთოდების უფრო ფართოდ დანერგვისა და შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების საფუძველზე.

პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესაბამისად, მუშავდება ღონისძიებანი მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში.

მოგვიხდება ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის, აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწველობის მთელი რიგი ახალი საწარმოების აშენება. ამასთან დაკავშირებით საჭიროა საწარმოზელი ყურადღება მივაქციოთ ახალი მშენებლობის მთელი საქმის დაჩქარებას და გაუმჯობესებას. მიუხედავად იმისა, რომ 1952 წლის პირველ ნახევართან შედარებით კაპიტალური სამუშაოები მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შესრულებულია 24 პროცენტის გადამეტებით, კაპიტალური მშენებლობის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 84 პროცენტით, რაც წარმოადგენს მშენებლობის საქმისადმი სუსტი ხელმძღვანელობის პირდაპირ შედეგს.

7 თვის შედეგები მოწმობენ, რომ არ არის ათვისებული 50 მილიონ მანეთზე მეტი. დარჩენილ 5 თვეში ისე უნდა გავშალოთ მშენებლობა, რომ თვეში საშუალოდ ავითვისოთ სულ ცოტა 65 მილიონი მანეთი, ნაცვლად საშუალო თვიური ათვისებისა გასულ 7 თვეში 40 მილიონი მანეთის რაოდენობით.

ამ ამოცანის შესასრულებლად საჭიროა გავაორკეცოთ მშენებლობის ტემპები და ამასთან ერთად მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ ხარისხი.

ახალ დირექტივათა და მითითებათა თვალსაზრისთ, განსაკუთრებით შეუწყნარებლად უნდა ჩაითვალოს საბინაო მშენებლობის, აგრეთვე სკოლების, საავადმყოფოებისა და საბავშვო დაწესებულებების მშენებლობის ჩამორჩენა. 1952 წელს საბინაო მშენებლობის გეგმა შესრულდა 90,7 პროცენტით, 1953 წლის პირველ ნახევარში კი გეგმა შესრულებულია მხოლოდ 45,7 პროცენტით.

განსაკუთრებით ცუდად ეწევიან საბინაო მშენებლობას საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო, მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტრო, კულტურის სამინისტრო, საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობას სამინისტრო, აგრეთვე ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა, კომბინატ საქქვანახშირის თბილისის დირექცია, ზესტაფონის ფერროშენადნობთა ქარხანა, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო და ზოგიერთი სხვა ორგანიზაცია.

უნდა მივიღოთ გადამწყვეტი ზომები, მოვახდინოთ გარდატეხა და რადაც უნდა დაგვიჯდეს უზრუნველვყოთ საცხოვრებელი სახლების მშენებლობის წლიური გეგმის შესრულება.

შარშან სკოლების მშენებლობის გეგმა მნიშვნელოვანი დანაკლისით შესრულდა. წელს სკოლების მშენებლობისათვის გაღებული 9.680 ათასი მანეთიდან 7 თვის განმავლობაში ათვისებულია მხოლოდ 2.130 ათასი მანეთი, ანუ გეგმის 22 პროცენტი.

არასაკმაო ტემპებით მიმდინარეობს საავადმყოფოების, საბავშვო ბაღებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების მშენებლობა. ბევრი სკოლისა და ცალკეული საავადმყოფოების მშენებლობა წლობით ჭიანურდება.

განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, განათლების სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და სათანადო საქალაქო და რაიონულ აღმასკომებს, რომლებიც მოვალენი არიან გააძლიერონ მზრუნველობა სკოლების, საბავშვო და სამკურნალო დაწესებულებების მშენებლობისათვის, მეტი ყურადღება მიაქციონ ამ მნიშვნელოვან საქმეს და ყველა პირობაში უზრუნველყონ ამ ღონისძიებებისათვის განკუთვნილი სახსრების სრულად და სწორად ათვისება.

როგორც ცნობილია, თვითღირებულება წარმოადგენს ძირითად მაჩვენებელს, რომელიც განსაზღვრავს საწარმოებას მთელი მუშაობის ხარისხს. მიუხედავად ამისა, ბევრ სამეურნეო ხელმძღვანელს და ჩვენს ცალკეულ სამინისტროებს ეს ავიწყდებათ. საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ 1952 წელს დაუშვა თვითღირებულების გადიდება 9,6 პროცენტის ოდენობით.

ყოფილი კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა პროდუქციის თვითღირებულებაზე დაზოგეს 1952 წელს მთლიანად 38 მილიონ მანეთზე მეტი, მაგრამ დაუშვეს სახსრების გადახარჯვა ელექტროენერგიასა და ორთქლზე ტექნოლოგიური საჭიროებისათვის 10,2 პროცენტის და საამქრო ხარჯებზე — 1,6 პროცენტის ოდენობით. სატყეო მრეწველობის სამინისტროს სისტემაში მთლიანად მთელი სასაქონლო პროდუქციისათვის თვითღირებულების ეკონომია შეადგენს გეგმასთან შედარებით 1,4 პროცენტს, მაგრამ გადახარჯვა ტექნოლოგიურ სათბობზე უდრის 12,5 პროცენტს და საერთო-საქარხნო ხარჯებზე — 16,9 პროცენტს.

შეუწყნარებელი მდგომარეობა შექმნა გეგმით გაუთვალისწინებელი ზარალისა და უნაყოფო ხარჯების მხრივ, რაც 1952 წელს შეადგენდა 115 მილიონ მანეთზე მეტს, აქედან მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში — 33 მილიონ მანეთზე მეტს, ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში — 20 მილიონ მანეთს და სამომხმარებლო კოოპერაციაში — 29 მილიონ მანეთს.

ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის უზრუნველყოფილი სოციალისტური საკუთრების მოვლა-პატრონობა და დაცვა, განსაკუთრებით სამომხმარებლო კოოპერაციაში და სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში.

არ სრულდება მთავრობის დავალება მშენებლობის ღირებულების შემცირების შესახებ; პირიქით, ადგილი აქვს მის მნიშვნელოვან გაძვირებას. რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებმა 1952 წელს, გეგმით გათვალისწინებული 19.771 ათასი მანეთის დაგრძელების ნაცვლად, იზარალეს 49.598 ათასი მანეთი, რაც შეადგენს შესრულებულ სამუშაოთა მთელი მოცულობის 26,9 პროცენტს. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კვლავ დაშვებულია გაძვირება 19,6 პროცენტით.

მშენებლობაზე დიდი თანხების გადახარჯვა იმის შედეგია, რომ სრულიად არადამაკმაყოფილებელია სამშენებლო ტრესტებისადმი ხელმძღვანელობა, ირღვევა ნორმები, არ წარმოებს ბრძოლა ზედნადები ხარჯების შემცირებისათვის, მასალებისა და მუშახელის სწორად გამოყენებისათვის.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროები და სხვა სამეურნეო ორგანიზაციები არ იჩენენ სათანადო მზრუნველობას თვითეული საწარმოს რენტაბელური მუშაობისათვის, რის შედეგადაც ბევრი სამრეწველო საწარმო არარენტაბელურად მუშაობს და დიდ ზარალს აძლევს სახელმწიფოს.

ზარალიანი საწარმოები ირიცხება მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში — 47, სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს სისტემაში — 9, საშენ მასალათა მრეწველობის სისტემაში — 7.

საჭიროა დაუყოვნებლივ მივიღოთ სათანადო ზომები იმისათვის, რომ დამყარდეს სახელმწიფოებრივი წესრიგი ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში, რათა იახლოეს დროში უზრუნველყოფილ იქნას ყველა საწარმოს რენტაბელური მუშაობა.

იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობა, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, სერიოზულად ვიზრუნოთ ჩვენი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და აღმავლობისათვის. საქართველოს სოფლის მეურნეობას დიდი წარმატებები აქვს თავის განვითარებაში. იზრდებიან და მტკიცდებიან კოლმეურნეობები, წლითიწლობით დიდდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. 1940 წელთან შედარებით უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო დამზადება 1952 წელს გადიდდა შემდეგი ოდენობით: პურისა—462 პროცენტით, ხილისა — 32,2 პროცენტით, ყურძნისა—80 პროცენტით, შაქრის ჭარხლისა — 46 პროცენტით, თამბაქოსი — 9.2 პროცენტით, ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლისა — 86 პროცენტით, ხორცისა — 25,3 პროცენტით, რძისა — 160 პროცენტით და მატყლისა — 77,7 პროცენტით.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენი სოფლის მეურნეობის აღჭურვილობა ახალი თანამედროვე ტექნიკით, რაც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ მრავალი სახის სამუშაოთა მექანიზაცია და შევამსუბუქოთ კოლმეურნე გლეხობის შრომა. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რაოდენობა 1953 წელს 1940 წელთან შედარებით გადიდდა თითქმის 100 პროცენტით. თითქმის ერთიორად გადიდდა ტრაქტორების რაოდენობა. რაც შეეხება კომბაინებს, მათი რიცხვი აშკარად შეადგენს 1.115 ცალს, ნაცვლად 1940 წლის 510 ცალისა.

ყოველივე ამის მიუხედავად, სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში დიდი ნაკლოვანებანი გვაქვს. ამჟამად საქართველოში ცოტა როდია ისეთი კოლმეურნეობები და მთელი რაიონებიც კი, განსაკუთრებით მთიანი რაიონები, სადაც სოფლის მეურნეობა ჩამორჩენილია. ბევრი ჩვენი კოლმეურნეობა იღებს მარცვლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალ მოსავალს, უშვებს დიდ დანაკარგს; საზოგადოებრივი მეურნეობის სუსტად განვითარების გამო კოლმეურნეობათა ერთ ნაწილს უმნიშვნელო ნატურალური და ფულადი შემოსავალი აქვს და ცოტას აძლევს კოლმეურნეებს შრომადღეებზე ფულს, მარცვალსა და სხვა პროდუქტებს.

ბევრი მანქანა-ტრაქტორთა სადგური უპასუხისმგებლოდ ეკიდება კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებების შესრულებას, განსაკუთრებით სამუშაოთა ხარისხისა და ვადების დაცვის ნაწილში. 1952 წელს სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა მთლიანად მტსებმა 103,5 პროცენტით შეასრულეს, ამასთან არ იქნა შესრულებული ისეთი მნიშვნელოვანი სამუშაოები, როგორიც არის: საგაზაფხულო და საშემოდგომო კულტურების თესვა, სათოხნი კულტურების კულტივაცია, ანეულის ხვნა, ანეულის კულტივაცია, ნაწვერლის ათმება და მზრალად ხვნა. მტსების მიერ 1952 წელს ჩატარებული მთელი სამუშაოებიდან დაწესებულ აგროტექნიკურ ვადებში შესრულებული იყო საგაზაფხულო კულტურების თესვა მხოლოდ 66,2 პროცენტით, კარტოფილის თესვა — 59 პროცენტით, სათოხნი კულტურების მწკრივთა შორის დამუშავება — 30,8 პროცენტით, საანეულო ხვნა — 57,4 პროცენტით, ანეულის კულტივაცია — 46,1 პროცენტით, საშემოდგომო თესვა — 52,8 პროცენტით და მზრალად ხვნა—61,8 პროცენტით.

გასაგებია, რომ ნიადაგის დამუშავების აგრომექანიკური ვადების ასეთი უხეში დარღვევის პირობებში შეუძლებელია კარგი მოსავლის მიღება.

კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების მონაცემებით უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ყველაზე მაღალი საშუალო მოსავალი შეადგენდა: მარცვლეულისა—9,79 ცენტნერს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15 ცენტნერისა, კარტოფილისა — 49 ცენტნერს, ნაცვლად 120 ცენტნერისა, თამბაქოსი—11,8 ცენტნერს, ნაცვლად 15 ცენტნერისა, მზესუმზირასი — 7,43 ცენტნერს, ნაცვლად 10,5 ცენტნერისა, კომბოსტოსი — 75 ცენტნერს, ნაცვლად 140 ცენტნერისა, პამიდორისა — 67,6 ცენტნერს, ნაცვლად 110 ცენტნერისა, სუფრის ჭარხლისა — 70 ცენტნერს, ნაცვლად 160 ცენტნერისა, ხახვისა — 25 ცენტნერს, ნაცვლად 80 ცენტნერისა, ხილისა — 14 ცენტნერს, ნაცვლად 35 ცენტნერისა, ყურძნისა — 25,7 ცენტნერს, ნაცვლად 38 ცენტნერისა.

ერთი საფურაკე ძროხის საშუალო წველადობა 1952 წელს შეადგენდა 418 ლიტრს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 800 ლიტრისა, მატყლის ნაპარსი — 2,4 კილოგრამს, ნაცვლად 2,8 კილოგრამისა, ხოლო ერთი კვერცხმდები დედლის საშუალო კვერცხდება — 15 კვერცხს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 70 კვერცხისა.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ასეთი დაბალი მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის სიმცირე წარმოადგენს ბევრი ჩვენი კოლმეურნეობის, განსაკუთრებით მთიანი რაიონების კოლმეურნეობების ეკონომიური სისუსტისა და არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის ძირითად მიზეზს.

სრულიად შეუწყნარებელი ჩამორჩენა გვაქვს ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოებაში, რის შედეგადაც ჩაშლილია ჩვენი ქალაქების და მსხვილი სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის მომარაგება ამ პროდუქტებით.

ჩვენ არასოდეს არა გვაქვს კარტოფილისა და ბოსტნეულის მინიმალური რაოდენობაც კი ქალაქებში თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავში, ტყვარჩელში, ტყიბულში და კურორტებზე, თუმცა მოგვეპოება ყოველგვარი შესაძლებლობა მოვიყვანოთ კარტოფილი და ბოსტნეული იმ რაოდენობით, რაც მთლიანად უზრუნველყოფს ჩვენი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის მოთხოვნილებას. კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის მოყვანის საქმე ჩვენში თითქმის ყველგან ჩამორჩენილია. ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა — დაუყოვნებლივ განვახორციელოთ საჭირო ღონისძიებანი და უახლოესი ორი წლის განმავლობაში ავიყვანოთ კარტოფილის, ბოსტნეულის, აგრეთვე ხილის მოსავლიანობა ისეთ ოდენობამდე, რაც სავსებით უზრუნველყოფს მთელი ჩვენი მოსახლეობის და გადამამუშავებელი მრეწველობის მოთხოვნილებას.

ცუდად არის საქმე მეცხოველეობის განვითარების მხრივ, რის გამო ვერ ვაკმაყოფილებთ მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას ხორცზე, რძეზე, კვერცხსა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებზე. მეცხოველეობის განვითარების გეგმა არადამაკმაყოფილებლად სრულდება, ხოლო ჯოგის ხარისხობრივი შემადგენლობისა და პროდუქტიულობის მხრივ სრულიად შეუწყნარებელი მდგომარეობა გვაქვს. 1953 წლის 1 იანვრისისათვის საქართველოს კოლმეურნეობებს ჰყავდათ 810.366 სული მსხვილფეხა რქიანა პირუტყვი, გეგმაზე მნიშვნელოვნად ნაკლები, მათ შორის ძროხა და ფურკამეჩი მხოლოდ 159.254 სული, ანუ საერთო სულადობის დაახლოებით 20 პროცენტი.

ყურადღება უნდა მიექცეს, უწინარეს ყოვლისა, იმას, რომ ავიყვანოთ ძროხების ხვედრითი წონა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის შემადგენლობაში 40-50 პროცენტამდე, რაიონების კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. რა საჭიროა გვყავდეს კოლმეურნეობებში არაპროდუქტიული პირუტყვის

(დასასრული მე-3 გვერდზე)

იხილეთ შემოკლებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

# კამათი საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ვ. მ. ბაქრაძის სიტყვა

(დასასრული)

ზედმეტი რაოდენობა, რომელიც დიდძალ საკვებს მოითხოვს და კოლმეურნეობებს კი სათანადო შემოსავალს არ აძლევს.

აღრაცხვის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ძროხების საერთო რაოდენობიდან საშუალოდ 40-დან 48 პროცენტამდე ყოველწლიურად გაბერწებული რჩება. დროა ბოლო მოვუღოთ ამ შეუწყნარებელ მოვლენას.

მეცხოველეობის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სათანადო საკვები ბაზის შექმნას, რასაც ბევრ კოლმეურნეობასა და რაიონში ყურადღება არ ექცევა.

15 აგვისტოსათვის თივის თიბვის გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია მხოლოდ 80 პროცენტით, აქედან აღმოსავლეთ რაიონებში — 91,6 პროცენტით და დასავლეთ რაიონებში — მხოლოდ 45,7 პროცენტით. ნათესი ბალახების აღების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 70,3 პროცენტით, აქედან აღმოსავლეთ რაიონებში — 93,4 პროცენტით და დასავლეთ რაიონებში—14,6 პროცენტით.

სილოსის ჩადების გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია მხოლოდ 39,9 პროცენტით, აქედან აღმოსავლეთ რაიონებში—50,5 პროცენტით და დასავლეთ რაიონებში—16,9 პროცენტით.

მაშასადამე, მეცხოველეობისათვის საკვების დაგროვების მხრივ საქმე განსაკუთრებით ცუდად არის. მიმდინარე წლის 15 აგვისტოს მდგომარეობის მიხედვით, საკოლმეურნეო მეცხოველეობისათვის უხეში საკვების დაგროვების გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია მხოლოდ 18,1 პროცენტით.

დაუყოვნებლივ უნდა მოვუღოთ ბოლო დანაშაულებრივ - უყურადღებო დამოკიდებულებას მეცხოველეობისათვის საკვების დაგროვებისა და საკვები ბაზის განვითარების საქმისადმი, ყოველისადაც შეუძლებელია მეცხოველეობის სერიოზული ჩამორჩენის ლიკვიდაცია.

მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დააკმაყოფილა ჩვენი თხოვნა და გაატქმა მძიმე დავალება ხორბლის განვითარების შესახებ, ჩვენს სოფლის მეურნეობაში კვლავ საგრძნობ განვითარებას პოულობენ სახალხო მეურნეობისათვის ისეთი მნიშვნელოვანი კულტურები, როგორიც არის: ჩაი, ციტრუსები, ყურძენი, ხილი და სხვ. 1954-55 წლების განმავლობაში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაშენდება 36.200 ჰექტარი ძვირფასი მრავალწლიანი ნარგავები, მათ შორის ციტრუსები — 5.000 ჰექტარი, ჩაი—10.000 ჰექტარი, ვენახები — 7.400 ჰექტარი, ხეხილის ბაღები—7.000 ჰექტარი, სუბტროპიკული ხეხილის კულტურები — 3,5 ათასი ჰექტარი. ტექნიკური კულტურების ნათესები გაიდიდება 5.100 ჰექტარით, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილის ნათესები — 7,5 ათასი ჰექტარით. აღდგენილ იქნება თესლბრუნვა კოლმეურნეობებში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ასეთი მიმართულება შეესაბამება სახელმწიფოს ინტერესებს და კოლმეურნეობათა ეკონომიური განმტკიცებისა და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების ამოცანებს.

ის დიდი ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება მოხმარების საგნების დამამზადებელი მრეწველობის შემდგომი განვითარებისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის დარგში, მოითხოვენ საქონელბრუნვის გადაჭრით გაუმჯობესებასა და მის ყოველმხრივ გაშლას.

იმისათვის, რომ უზრუნველყოთ მოძმხარებელთა ნორმალური მომსახურება და საქონელბრუნვის მნიშვნელოვანი გათართოება, საჭიროა აღმოვფხვრათ ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც, უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ საქონელბრუნვის გეგმა არადამაკმაყოფილებლად სრულდება, ხოლო მომხმარებელთა კულტურული მომსახურება უზრუნველყოფილი არ არის.

ვაჭრობის ცუდი ორგანიზაცია წარმოადგენს საქონელბრუნვის გეგმის შეუსრულებლობის მთავარ მიზეზს.

საჭიროა ჩვენმა სავაჭრო ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ გარდაქმნან თავიანთი მუშაობა ისე, რომ უზრუნველყონ საქონელბრუნვის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, ნამდვილად მოაგვარონ მომხმარებელთა კულტურული მომსახურება, უზრუნველყონ სავაჭრო ქსელი ყველა სახის საქონლით და ამავე დროს მოემზადონ იმისათვის, რომ კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ საქონელბრუნვა, ახალი ამოცანების შესაბამისად.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სამინისტროების მუშაობა რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული ცხოვრებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში. იმისათვის, რომ წარმატებით გადაიჭრას ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები, საჭიროა გაძლიერდეს პასუხისმგებლობა და ამაღლდეს მუშაობის კულტურა სახელმწიფო და სამეურნეო მმართველობის ყველა რგოლში.

უკანასკნელ თვეებში, სსრ კავშირის მთავრობის მითითების შესაბამისად, ჩვენ ჩავატარეთ ზოგიერთი სამინისტროს გამსხვილება. ეს ღონისძიება დადებითს შედეგებს იძლევა, მაგრამ საჭიროა აქვე ითქვას, რომ ალბათ ჩვენ მოგვიხდება რამდენიმე შესწორების შეტანა სამინისტროების ჩატარებულ რეორგანიზაციაში, სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების შემდგომი განვითარების ახალ ამოცანებთან დაკავშირებით.

საბჭოთა კავშირი განუხრელად ატარებს და მომავალშიც გაატარებს სამშვიდობო პოლიტიკას. მაგრამ, შეუბოვრად ვიბრძვით რა მშვიდობის საქმისათვის, ჩვენ ამავე დროს მტკიცედ უნდა გვახსოვდეს ჩვენი წმინდა მოვალეობა — დაუღალავად განვამტკიცოთ და ვაუმჯობესოთ დიდი საბჭოთა კავშირის თავდაცვა, განსაკუთრებით ჩვენი რესპუბლიკის სასაზღვრო მდგომარეობის პირობებში.

ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გზავნის თავის აგენტებს, ეძებს ისეთ ადამიანებს, რომლებიც მზად არიან უღალატონ სამშობლოს ინტერესებს და შეასრულონ იმპერიალისტთა დავალება საბჭოთა კავშირის ძლიერებისათვის ძირის გამოთხრის საქმეში.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხალხი, კერძოდ, ქართველი ხალხი, განსაკუთრებული ერთსულოვნობით და მადლობით შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დროზე მიღებულ სწორ და გადამწყვეტ ზომებს ბურჟუაზიული გარეწრის ბერიას დანაშაულებრივი, ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების ლიკვიდაციისათვის. პარტიისა და საბჭოთა ხალხის ამ მოსისხლე მტერს, რომელიც იმპერიალისტთა დავალებას ასრულებდა, უნდოდა შეერყია საბჭოთა საზოგადოების საფუძველი, დაენგრია კომუნისტური პარტია, დაენგრია ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო და საბჭოთა ადამიანებისათვის დაედგა კაპიტალიზმის უღელი. საერთაშორისო იმპერიალიზმის ჯაშუშმა ბერიამ უდიდესი ზიანი მიაყენა ქართველ ხალხს. იგი ცდილობდა აქტიური გაეხადა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტები და ჩამოეგდო შუღლი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ეროვნებებს შორის, ცდილობდა შეექმნა უნდობლობა დიდი რუსი ხალხისადმი, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის ძირითად დამაკავშირებელ ძალას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმული მთელი ქართველი ხალხი მოითხოვს ხალხის მტრის ბერიას სასტიკად დასჯას.

ჩვენს წინაშე დასახულია დიადი ამოცანები მრეწველობისადმი, სოფლის მეურნეობისადმი მთელი ჩვენი ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესების, სახალხო მოხმარებისათვის საქონლის წარმოების შემდგომი მკვეთრი აღმავლობის საქმეში.

ნაკლოვანებათა გამომძიებლებით, მათი აშკარა გაკრიტიკებით და თავისი მუშაობის გარდაქმნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ კიდევ უფრო მაღლა დააყენოს ჩვენი სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, მთლიანად ჩვენი ეკონომიკა, უკეთ გამოიყენოს სოციალისტური მეურნეობის შესაძლებლობანი და აამაღლოს რესპუბლიკის მშრომელთა კეთილდღეობა.

გაუმარჯოს ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორს და ხელმძღვანელს კომუნისტურ პარტიას! (მქუხარე ტაში).

## დეპუტატ მ. ი. კუჭავას სიტყვა

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად ძლიერდება ზუგდიდის რაიონის ეკონომიკა, უმჯობესდება მისი სამეურნეო და კულტურული ცხოვრება. რაიონში 34 კოლმეურნეობა და ხუთი საბჭოთა მეურნეობაა. ამასთან შექმნილია მნიშვნელოვანი საწარმოები: ინგირის ქაღალდის — ცელულოზის და ხის გადამამუშავებელი კომბინატი, ჩაის გადამამუშავებელი შვიდი ფაბრიკა, საკონსერვო და ღვინის ქარხნები, აგურკრამიტის და სხვა საწარმოები ყოველწლიურად უშვებენ ასეულ მილიონობით მანეთის სამრეწველო პროდუქციას.

ზუგდიდელები წელს გამოვიდნენ ჩაის ფოთლის კრეფის ორგანიზებულად ჩატარებისა და მზა პროდუქციის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად და იკისრეს გეგმის გადამეტებით მისცენ ჩვენს ქვეყანას მილიონი კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ზუგდიდელები მთელი ძალით იბრძვიან სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

რაიონის კოლმეურნეობები წლითიწლობით ადიდებენ საწარმოო საშუალებებს, მრავალწლიანი კულტურების ნარგავებს, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას, მატულობს კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავალი.

ამასთან ერთად ჩვენს მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი, გვყავს ჩამორჩენილი კოლმეურნეობები, რომლებიც მოითხოვენ ჩვენგან ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესებას. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების ყველა რეზერვი მთლიანად არ არის გამოყენებული.

სოფლის მეურნეობის ინტენსივობის ასამაღლებლად საჭიროა მექანიზაციის ფართოდ დანერგვა. ამ მხრივ საყოველთაოდ ცნობილია ჩვენი ქვეყნის უდიდესი მიღწევები, მაგრამ ჩაის კულტურის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონე ჯერ კიდევ დაბალია. ჩვენი მექანიზატორები და კონსტრუქტორები მოწოდებული არიან გაცილებით უფრო მეტი გააკეთონ ჩაის საკრეფი და სხვა მანქანების სრულყოფის საქმეში.

სრულიად მოუგვარებელია კოლმეურნეობათა საშენი მასალებით მომარაგება. მაგალითად, ზუგდიდის რაიონს უნდა მიეღო 60.000 ცალი სახურავი შიფერი, მიიღო მხოლოდ 5.000 ცალი, 30 ტონა ცემენტიდან და 3.200 კუბმეტრი ხე-ტყიდან ჯერ სრულებით არაფერი არ არის მიღებული.

ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გავაკეთო რამდენიმე შენიშვნა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიმართ.

ქალაქის სკოლების საბინაო ფონდი მოსწავლეთა მინიმალურ რაოდენობას ვერ იტევს. ეს საკითხი არაერთხელ იყო დასმული განათლების სამინისტროს წინაშე, მაგრამ რეალური დახმარება ჯერჯერობით არ მიგვიღია და ეს საქმე ისევ მოუგვარებელი დარჩა. განათლების სამინისტრო წელს სკოლების რემონტისა და კეთილმოწყობის საქმეში დაკავყოფილდა მხოლოდ მთავრობის მიერ სკოლების კაპიტალური რემონტისათვის მოცემული თანხების განაწილებით. მაგრამ სამინისტრო არ ზრუნავს სკოლების შესაკეთებლად საჭირო ფონდირებული მასალით უზრუნველყოფისათვის.

ცუდ მდგომარეობაშია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის მატერიალური ბაზა. ეს უწინარეს ყოვლისა ითქმის თეატრის შენობის შესახებ. 1946 წლიდან ექსპლოატაციაშია სახელმწიფო თეატრის დაუმთავრებელი შენობა, რომელიც ახლა კაპიტალურ რემონტს მოითხოვს. თეატრს 1950-1951 წლების დავალიანება კიდევ აქვს. უფრო ცუდ მდგომარეობაშია რაიონის კულტურის სახლი.

მიუხედავად ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრებთა დიდი რაოდენობისა, ქალაქ ზუგდიდს დღემდე არა აქვს წყალსადენი. გასულ წელს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ დაპროექტებული იყო წყალსადენის მშენებლობა, საძიებო-საპროექტო სამუშაოები დამთავრებულია, რაზედაც 50 ათასი მანეთი დაიხარჯა. ვთხოვ საქართველოს მთავრობას, რომ წელს ქალაქში წყალსადენის მშენებლობის დაწყებისათვის საჭირო თანხები გაითვალისწინოს ბიუჯეტში.

ამხანაგო დეპუტატებო! მე მხარს ვუჭერ ამ სესიაზე განსახილველად წარმოდგენილ საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, აგრეთვე საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს და წინადადება შემომაქვს მათი დამტკიცების შესახებ. (ტაში).

## დეპუტატ ა. თ. ხელიძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! სესიის განსახილველად წარმოდგენილ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ჯანმრთელობის დაცვისათვის, ფიზკულტურისა და სპორტის ჩათვლით, ბიუჯეტით გათვალისწინებულია 540.463 ათასი მანეთი, ანუ შარშანდელთან შედარებით 10,5 პროცენტით მეტი.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდება. შარშანდელთან შედარებით 5,5 პროცენტით გადიდდება საწოლთა რიცხვი საავადმყოფოებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები ჯერ კიდევ მოუქნელად მუშაობენ. ამის შედეგად 1952 წლის ბიუჯეტიდან აუთვისებელი დარჩა 25,5 მილიონი მანეთი.

ამხანაგო დეპუტატებო! საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების ფორმალურმა გაერთიანებამ სასურველი შედეგი ვერ მოგვცა და გამოიწვია მოსახლეობის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური მომსახურების ჩამორჩენა, უმთავრესად პროფილაქტიკის მხრივ. ეს ნაკლი უახლოეს დროში უნდა გამოსწოროთ.

დიდ გაუმჯობესებას მოითხოვს სამრეწველო საწარმოთა მუშების სამედიცინო-სანიტარული მომსახურება. სამინისტროებმა, უწყებებმა და სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელებმა უნდა გაითვალისწინონ მთელ რიგ ახალ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მშენებლობა.

საჭიროა გაძლიერდეს რაიონულ სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მშენებლობა, ვინაიდან მთელ რიგ რაიონებში (ახმეტა, ვანი, შუახევი, ქარელი, ქუთაისი) საავადმყოფოები მოთავსებულია შეუფერებელ ბინებში.

მთელ საბჭოთა კავშირში განთქმულია საქართველოს კურორტები. 1952 წლის განმავლობაში საქართველოს კურორტებით ისარგებლა 160 ათასამდე კაცმა საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან. წელს საგრძნობლად გაძლიერდა სანატორიუმებისა და კურორტების კეთილმოწყობის სამუშაოები. გადამზადდა კადრები, ყველა წამყვან კურორტებზე მიმაგრებულ იქნა სამედიცინო და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კლინიკები, რომლებიც ადგილებზე ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან.

გათვალისწინებულია ჩვენს კურორტებზე შეიქმნას სამი მსხვილი საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებენ კურორტების მომარაგებას.

წელს ჩვენ ვერ მოვახერხეთ დროულად და კარგად მოგვემზადებინა კურორტები სეზონისათვის. კურორტვაჭრობისა და ცეკავშირის მოუქნელი მუშაობის შედეგად ზოგიერთი კურორტი დროულად არ იქნა მომარაგებული დიეტური პროდუქტებით, ბოსტნეულით, ხილით, აგრეთვე სხვა სასურსათო და სამრეწველო საქონლით.

ჩვენს რესპუბლიკაში 5.349 ძირეული ფიზკულტურული კოლექტივია. მათში გაერთიანებულია 303.192 ფიზკულტურელი და სპორტსმენი, მათგან 175 სსრ კავშირის სპორტის ოსტატია და 65 — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი. ჩვენმა სპორტსმენებმა შარშან 138 რესპუბლიკური რეკორდი დაამყარეს. მათ შორის 8 სპარბობს საკავშირო რეკორდს, ხოლო 2 — მსოფლიო რეკორდს. წელს მათ ახალ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების მიზნით საჭიროა სათანადო ყურადღება მიექცეს სასპორტო ბაზების მშენებლობას, აგრეთვე თბილისში აიგოს ზამთრის საცურავი აუზი.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხაზით კაპიტალური მშენებლობისათვის წელს გეგმით გათვალისწინებულია 12.500 ათასი მანეთი, უნდა აშენდეს 31 ობიექტი, მათ შორის 11 რაიონული საავადმყოფო და თბილისის ინფექციური საავადმყოფო. განვლილი 7 თვის განმავლობაში კაპიტალური მშენებლობის წლიური გეგმა შესრულებულია 56,7 პროცენტით.

სამედიცინო კადრებით უზრუნველყოფის მხრივ ჩვენს რესპუბლიკას საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ კადრების განაწილებაში გვაქვს სერიოზული ნაკლი, რის შედეგადაც რაიონებში ექიმის 400-ზე მეტი ვაკანტური ადგილია. ეს გამოწვეულია იმით, რომ ჯანმრთელობის დაცვის ზოგიერთი ადგილობრივი ორგანო და რაისაბჭოს აღმასკომი არ იღებს ზომებს ექიმებისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად, განსაკუთრებით კომუნალური მომსახურების მხრივ.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებებით და ამხანაგ გ. მ. მალენკოვის ისტორიული სიტყვით, არ დაზოგავენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას, რათა ღირსეულად შეასრულონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალებანი სახალხო ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში. (ტაში).

## დეპუტატ შ. ს. რეხვიაშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! ონის რაიონის სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი მეცხოველეობას და მემინდვრეობას უჭირავს. მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვს მევენახეობას. ჩვენ ერთგვარი მიღწევები გვაქვს მეცხოველეობის განვითარების საქმეში, რაც სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდაში გამოიხატება. 1946 წლიდან დღემდე რაიონში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გაიზარდა 16,8 პროცენტით, პროდუქტიული პირუტყვის რაოდენობა — 95 პროცენტით, ხოლო წველადობა — 147 პროცენტით.

მიუხედავად ამისა, საერთოდ რაიონის სოფლის მეურნეობაში სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს. აქამდე ვერ მავაღწიეთ მეცხოველეობაში პროდუქტიულობის სახელმწიფო გეგმის შესრულებას, დაბალია კოლმეურნეობებში მარცვლეულის მოსავლიანობა. ეს ნაკლოვანებანი იმით აიხსნება, რომ რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები სუსტად ხელმძღვანელობენ და სათანადოდ არ ეხმარებიან კოლმეურნეობებს. უკანასკნელ დროამდე მთიანი და დაშორებული რაიონები რესპუბლიკური ორგანოების, კერძოდ ზოგიერთა სამინისტროსა და მათ შორის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ყურადღების გარეშე იყვნენ დარჩენილნი. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ბევრმა ხელმძღვანელმა მუშაკმა ონის რაიონი მხოლოდ გეოგრაფიიდან იცოდა, ხოლო რაც შეეხება ამ რაიონის ეკონომიკას, ამაზე სწორი და ნათელი წარმოდგენა არ ჰქონდათ. ამიტომ არის, რომ სოფლის მეურნეობის და დამზადებათა სამინისტრო ჩვენს ბევრ მოთხოვნას უყურადღებოდ ტოვებს. დავიწყებულია მთიანი რაიონების სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

არსებობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის დადგენილება რაიონში მარნის შენებლობის შესახებ. ეს დადგენილება დღემდე არ არის შესრულებული. მიმდინარე წელს მარნის ასაგებად 100.000 მანეთია გამოყოფილი, მაგრამ სათანადო პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის უქონლობის გამო მშენებლობა არ დაწყებულა.

ამხანაგო დეპუტატებო! ონის რაიონი ჩვენი რესპუბლიკის შორეული და მთიანი რაიონია, ქუთაისთან იგი დაკავშირებულია 120 კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზით, მთელი ტვირთზიდვა და მიმოსვლა ავტომანქანების საშუალებით წარმოებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ აღნიშნული გზა ჩვენს რესპუბლიკას აკავშირებს ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებთან.

წარსულში ამ გზის გაფართოებისა და რეკონსტრუქციის საკითხი სრულიად უყურადღებოდ იყო მიტოვებული, რის შედეგადაც არის ავტომანქანების ავარიის შემთხვევები და მოძრაობა ხშირად ფერხდება რამდენიმე კვირითაც კი.

საჭიროა რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა გაითვალისწინონ გზის რეკონსტრუქციის საკითხი, ამასთან ტვირთზიდვის მოსაწესრიგებლად გაიხსნას სატრანსპორტო კანტორა ქ. რნში, რომელიც რკინიგზას დიდი მანძილით არის დაშორებული.

რაიონში არსებული კურორტი შოვი სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებას, რადგან კურორტზე არსებობს მხოლოდ ორი სანატორიუმი. უყურადღებოდ არის მიტოვებული კურორტი უწერა, რომელიც ფართოდ ცნობილია თავისი სამკურნალო მინერალური წყლებით.

საჭიროა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და მთავარმა საკურორტო სამმართველომ მეტი ყურადღება მიაქციონ აღნიშნული კურორტების გაფართოებასა და კეთილმოწყობას.

სესიის ყურადღება უნდა მივაქციო ქ. ონის კეთილმოწყობის ორ საკითხს. ჯერ კიდევ 1945 წელს შედგა პროექტი და ხარჯთაღრიცხვა ქ. ონში მდინარე რიონის სანაპიროების გამაგრების სამუშაოთა ჩასატარებლად, მაგრამ შემდეგში ეს საქმე რატომღაც დავიწყებას მიეცა. წელს განმეორებით დაისვა ამ სანაპიროს მშენებლობის საკითხი. ჩვენ ვთხოვთ საქართველოს მთავრობას გაითვალისწინოს და დაეჩქაროს აღნიშნული სამუშაოს დაფინანსება და მშენებლობის დაწყება.

პარტიის რაიონული კომიტეტი და რაისაბჭოს აღმასკომი სრულიად შეუფერებელ ბინაში არიან მოთავსებული. ამიტომ ვთხოვ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაითვალისწინოს ქალაქ ონში ადმინისტრაციული სახლის მშენებლობის დაწყება და დაფინანსება.

საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც წარმოდგენილია სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად, სავსებით შეესაბამება სოციალისტური მშენებლობის იმ ამოცანებს, რომელიც დაგვისახეს საბჭოთა მთავრობამ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ. ამიტომ მე მხარს ვუჭერ მის დამტკიცებას. (ტაში).

## დეპუტატ მ. ყ. ყულიევის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! მთელ ქართველ ხალხთან ერთად ბოლნისის რაიონის კოლმეურნეებმა და ყველა მშრომელმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარებაში, მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაში.

წელს თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება ჩვენ მთლიანად დავამთავრეთ 10 აგვისტოსათვის.

რაიონის კოლმეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების გეგმა, შეინახეს 16.364 ცენტნერი თესლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15.840 ცენტნერისა. კოლმეურნეებს შრომადღეზე ავანსად მიეცათ 2-დან 3 კილოგრამამდე ხორბალი.

წელს ჩვენ ყურძნის კარგ მოსავალს მოვიყვანთ, საშუალოდ ჰექტარზე მივიღებთ სულ ცოტა 60 ცენტნერს, ხოლო ცალკეულ კოლმეურნეობებში — გაცილებით მეტს.

რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს ჩაბარეს 406 ტონა საადრეო კარტოფილი. კარტოფილისა და ბოსტნეულის ჩაბარება გრძელდება.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ კარტოფილისა და ბოსტნეულის საშუალო მოსავალი ჯერ კიდევ დაბალია.

ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებმა ვერ გაამჯობესეს მეცხოველეობის მდგომარეობა. შესრულებული არ არის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა. ჩვენ ვცდილობთ აღმოვფხვრათ ეს ჩამორჩენილობა. წარსულ წლებთან შედარებით ცოტათი გაუმჯობესდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

ამჟამად კოლმეურნეობები ამზადებენ საკვებს პირუტყვის გამოზამთრებისათვის. ზამთარში პირუტყვის შენახვა ჩვენში საკმაოდ არ არის უზრუნველყოფილი საკვებით იმის გამო, რომ საზამთრო საძოვრები არა გვაქვს.

ვთხოვთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამოგვიყოს საზამთრო საძოვრები „იალღუჯას“ ნაკვეთიდან, რომელიც „გრუზზოგოტსკოტის“ განკარგულებაშია და ეს ნაკვეთი 1952 წელს არავის არ გამოუყენებია.

ბოლნისის რაიონის 1952 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში შესრულებულია 11.324 ათასი მანეთის ოდენობით, ანუ 96 პროცენტით, და გასავლის ნაწილში 11.213 ათასი მანეთის ოდენობით, ანუ 95 პროცენტით.

შემოსავალმა გასავალს გადააჭარბა 112 ათასი მანეთით.

ამასთან ერთად რაიონის ზოგიერთი დაწესებულებისა და ორგანიზაციის ცუდი მუშაობის შედეგად, ბიუჯეტს დაეკლდა 490 ათასი მანეთი, აქედან საშემოსავლო გადასახადი სამომხმარებლო კოოპერაციისაგან — 27 ათასი მანეთის ოდენობით, საშემოსავლო გადასახადი მოსახლეობისაგან — 134 ათასი მანეთი და სხვ.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე 1952 წელს დაიხარჯა 9.627 ათასი მანეთი, 1951 წელთან შედარებით დაიხარჯა 179 ათასი მანეთით მეტი.

ბოლნისის რაიონის 1953 წლის ბიუჯეტი შემოსავლისა და გასავლის ნაწილში შეადგენს 12.099 ათას მანეთს, 1952 წელთან შედარებით იგი გადიდდა 599 ათასი მანეთით ანუ 5 პროცენტით. 1953 წლის ბიუჯეტით გაზრდილი ასიგნობანი გათვალისწინებულია ძირითადად სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის.

დაბა ბოლნისში წყალსადენი არ არის. გთხოვთ დამატებით გათვალისწინებულ იქნას ამ მიზნით ჩვენი რაიონის 1953 წლის ბიუჯეტში 200 ათასი მანეთი.

1936 წლიდან ბოლნისში შენერებულია კულტურის სახლის მშენებლობა, რომელზეც ერთ მილიონამდე მანეთი დაიხარჯა. გთხოვთ გაითვალისწინოთ ასიგნობანი ბოლნისის რაიონში კულტურის სახლის მშენებლობის დასამთავრებლად.

ბოლნისის რაიონის მშრომელნი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებებს შეხვდნენ როგორც ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების ზრდისათვის, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდი მზრუნველობის გამოვლინებას.

უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ ჩვენი რაიონის მშრომელები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალ კანონს, რომელიც მიმართულია „კოლმეურნეობების შემდგომი განმტკიცებისა და კოლმეურნეთა შეძლებულობის ზრდის უზრუნველყოფისაკენ, აძლიერებს საკოლმეურნეო შრომით დაინტერესებას და გამოხატავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს განუხრელ ნებას — კიდევ უფრო აამაღლონ კოლმეურნე გლეხობის კეთილდღეობა.

კოლმეურნენი მხურვალე მადლობას უძღვნიან პარტიასა და მთავრობას კოლმეურნეობებზე და კოლმეურნეებზე დიდი ზრუნვისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ გამოიწვია ბოლნისის რაიონის მშრომელთა ერთსულოვანი მოწონება და შემოქმედებითი აქტივობის ახალი აღმავლობა.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ 1953 წლის ბიუჯეტი მთლიანად შეესაბამება ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, იგი უზრუნველყოფს ჩვენი რესპუბლიკის შემდგომ სამეურნეო და კულტურულ ზრდას, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ძლიერების ზრდას.

ბოლნისის რაიონის მშრომელები, მჭიდროდ დარაზმულნი დიადი კომუნისტური პარტიისა და მშობლიური საბჭოთა მთავრობის გარშემო, მთელ ქართველ ხალხთან ერთად ძალღონის დაუშურებლად იმუშავებენ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების განსახორციელებლად და მიაღწევენ ახალ წარმატებებს კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. (ტაში).

სიტყვები იბეჭდება შემოკლებით.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 20 აგვისტო. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის დღის სხდომაზე გრძელდებოდა კორეის საკითხზე პოლიტიკური კონფერენციის მოწვევისა და მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. გაკრიტიკებულ იქნა შეერთებული შტატების ცდები ხელი შეუშალონ კონფერენციაში ყველა იმ სახელმწიფოს მონაწილეობას, რომელთაც უნარი შესწევთ უზრუნველყონ მტკიცე მშვიდობა შორეულ აღმოსავლეთში.

სხდომაზე გამოსულმა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ა. ა. ვიშინსკიმ ხაზგასმით აღნიშნა კორეაში დაზავების ხელმოწერის უდიდესი მნიშვნელობა და ჩამოაყალიბა ღონისძიებანი, რომლებიც საჭიროა კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის.

20 აგვისტოს პოლიტიკური კომიტეტის დილის სხდომა გიიხსნა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაურის სეკანინოვას გამოსვლა ჩეხოსლოვაკიის ხალხი, თქვა სეკანინოვამ, ისე როგორც ყველა სხვა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ხალხები, ტრაბას კორეაში დაზავებაზე შეთანხმების ხელმოწერის შესახებ შვებასა და დიდი სიხარულის გრძნობით შეხვდა. მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებმა, თქვა მან. დიდი მადლობით დაუჭერეს მხარი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინიციატივას, რომლებმაც თავიანთი წინადადებებით გზა გაუკაფეს დაზავების ხელმოწერას და კორეის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას.

საბჭოთა კავშირის დაუცხრომელ მოღვაწეობას, რომელიც იმ თავითვე მიმართული იყო კორეაში სისხლისღვრის შეწყვეტისაკენ, განაცხადა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა, მუდამ მხარს უჭერდა ჩეხოსლოვაკიის მთავრობა. რომელიც გამოხატავს მშვიდობისადმი ჩეხი და სლოვაკი ხალხების მტკიცე ნებას და მისწრაფებას.

ამიტომ კორეაში სისხლისღვრის შეწყვეტა ხალხთა დიდი გამარჯვებაა მშვიდობისათვის ბრძოლაში და იმათი დამარცხებაა, ვინც ძალის პოლიტიკას ქადაგებს. უფრო მეტიც, განაცხადა სეკანინოვამ, კორეაში დაზავების ხელმოწერა იმ ფაქტის ახალი დამჯერებელი დადასტურებაა, რომ დღევანდელი დღის ყველა პრობლემა შეიძლება მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკების გზით გადაიჭრას.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა დაწვრილებით ილაპარაკა იმ ვითარებაზე, რომელშიც მიმდინარეობდა მოლაპარაკება კორეაში დროებითი ზავის დადების შესახებ, და პოლიტიკურ კომიტეტს მოაგონა, რომ არსებობენ ძალები, რომლებიც მოქმედებდნენ და მოქმედებენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ, და თქვა, რომ საჭიროა გენერალურმა ასამბლეამ თავისი ღონისძიებანი წარმართოს იმისაკენ, რომ სწორად გადაიჭრას პოლიტიკური კონფერენციის საკითხი.

დაეთანხმა რა ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლების განცხადებას, რომ „ჩრგვალი მაგიდის“ კონფერენციას უპირატესობა აქვს „ორი მხარის“ კონფერენციის წინაშე, სეკანინოვამ განაცხადა, რომ ორი მოწინააღმდეგე მხარის მოლაპარაკების კონცეფცია ვერაფითარი გზით ვერ შეუწყობს ხელს კონფერენციის მუშაობას, რამდენადაც ამ კონცეფციას „ორი მხარის მეომარული სულისკვეთება“ შეაქვს კონფერენციის მუშაობის ატმოსფეროში.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია, განაცხადა დასასრულ სეკანინოვამ, ხმას მისცემს საბჭოთა კავშირის დელეგაციის მიერ წარმოდგენილ რეზოლუციის პროექტს და მოუწოდებს სხვა დელეგაციებს მხარი დაუჭირონ ამ რეზოლუციას

შემდეგ გამოსულმა თურქეთის წარმომადგენელმა სარპერმა, რომელიც ანაბეჭდორია ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით ქვეყნების ერთი ჯგუფის რეზოლუციის პროექტისა კორეის საკითხზე, განაცხადა, რომ მხარს ვერ დაუჭერს რეზოლუციის საბჭოთა პროექტს იმ მიზეზით, რომ პროექტში „მყარდება ძალთა წონასწორობა პოლიტიკურ კონფერენციაზე“, მაგრამ ეს საჭირო არ არის, რადგან კონფერენციაზე გადაწყვეტილებებისათვის კენჭისყრის პროცედურა არ იქნებაო. ამასთან ერთად თურქეთის დელეგატმა მხარი დაუჭირა წინადადებას საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მოწვევის შესახებ მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური კონფერენციის მუშაობაში.

სხდომის დასასრულს გამოვიდა ინგლისის წარმომადგენელი ლოიდი, რომელმაც განაცხადა, რომ მას შეუძლია მხოლოდ ნაწილობრივ დაუჭიროს მხარი რეზოლუციის საბჭოთა პროექტს. მან თქვა, რომ ინგლისის დელეგაცია ხმას მისცემს წინადადებას საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მოწვევის შესახებ — მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური კონფერენციის მუშაობაში. ინგლისის წარმომადგენელმა ეჭვი გამოთქვა, რომ მიზანშეწონილი იყოს პოლიტიკური კონფერენციის მონაწილეთა შემადგენლობაში პოლონეთის შეყვანა, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მოგვიდებოდა შეგვეყვანა შვეიცარია, შვეცია და ჩეხოსლოვაკია, რომლებიც პოლონეთთან ერთად ნეიტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან შემდგარი სარეპატრიაციო კომისიის წევრები არიან. მან განაცხადა, რომ ვერ დაეთანხმება სსრ კავშირის რეზოლუციის პროექტს, სადაც ნახსენები არ არის ზოგიერთი ქვეყანა, რომელიც მონაწილეობას იღებდა კორეის ომში. ლოიდმა განაცხადა, რომ მისთვის „ნათელი არ არის“ რეზოლუციის საბჭოთა პროექტის დასკვნითი ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ კონფერენციის გადაწყვეტილებანი მიღებულად ჩაითვლება, თუ არსებობს იმ ქვეყნების თანხმობა, რომლებმაც ხელი მოაწერეს შეთანხმებას დაზავების შესახებ.

ამით დამთავრდა კომიტეტის დილის სხდომა.

# კორეაში დაზავების გამო

პეკინი, 20 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა 19 აგვისტოს კესონდან გადასცა:

სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის კომიტეტის დღევანდელ სხდომაზე კორეა-ჩინეთის მხარის წარმომადგენელმა პოლკოვნიკმა ლი ბიონ ირმა გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

თქვენი პასუხი ჩვენს პროტესტზე იმ დაუსაბუთებელი შეზღუდვისა და დაბრკოლების წინააღმდეგ, რასაც თქვენი სამხედრო ხელისუფლები უქმნიან წითელი ჯვრის სამხრეთ ჯგუფში ჩვენს წარმომადგენლებს, რომელნიც თავიანთ ჰუმანურ ფუნქციებს ახორციელებენ, და პროტესტზე იმის წინააღმდეგ, რომ თავს დაესხნენ მდინარე იმჯინგანის ხიდთან ქვეჯგუფის ჩვენს წარმომადგენელს, დამაკმაყოფილებელი არ არის. თქვენმა მხარემ არავითარი სინანული არ გამოთქვა ჩვენს პროტესტში მოხსენებული ფაქტების გამო, არამედ კიდევაც ცდილობს უარყოს ისინი...

13 აგვისტოს დაახლოებით 18 საათზე ერთ-ერთი თქვენი მცველი თავს დაესხა ბ-ნ პან ფანს — ჩვენს წარმომადგენელს მდინარე იმჯინგანის ხიდთან წითელი ჯვრის ქვეჯგუფში და ორჯერ დაარტყა მას შაშხანა — ერთხელ მკერდში და მეორედ — ფეხზე. ამ ინციდენტის შემდეგ, რომელიც ორივე მხარის წითელი ჯვრის წარმომადგენლები წავიდნენ იქ გამოსაკვლევად, ჩვენი მხარის წარმომადგენლებმა ჰკითხეს ამ მცველს, მიიღო თუ არა მან ბანაკის ხელისუფალთა ბრძანება ძალით შეეჩერებინათ ჩვენი წარმომადგენლები, თუ ისინი კარვიდან გამოვიდოდნენ. ამ მცველმა პირდაპირ უპასუხა: „დიახ ასეთი ბრძანება მივიღე“. ამ ინციდენტის შემდეგ თქვენი მხარის ბანაკის ხელისუფლებმა განუცხადეს დაზარალებულ ბ-ნ პან ფანს, რომ ეს მცველი „ახალგაზრდა ჯარისკაცი“. ამ ქვეჯგუფის თავმჯდომარემაც განაცხადა, ეს მცველი „ახალგაზრდა კაციაო“. ყოველივე ეს ჩვენს წარმომადგენელზე თავდასხმის უდავო დამამტკიცებელი საბუთებია, რომლებსაც თქვენნი სამხედრო ხელისუფლები ვერ უარყოფენ. ასეთი ფაქტების არსებობის დროს რა საფუძვლით შეუძლია თქვენს მხარეს უარყოს ისინი და თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა? თქვენი მხარე ყოველთვის სჩადიოდა ძალადობას ჩვენი მხარის უიარაღო ტყვეების მიმართ და შეურაცყოფდა მათ, რითაც არღვევდა საერთაშორისო სამართალს და ჰუმანურობის პრინციპებს. ახლა თქვენი მხარე ახალ-ახალ მსხვერპლს ეძებს წითელი ჯვრის ჩვენს წარმომადგენელთა შორის...

წითელი ჯვრის შერეული ქვეჯგუფების საქმიანობის შესახებ ამ კომიტეტის ორივე მხარის მიერ საქსებით შეთანხმებული და დამტკიცებული შეთანხმების მე-2 „გ“ ქვეპუნქტის თანახმად წითელი ჯვრის შერეულ ჯგუფებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ინახულონ სამხედრო ტყვეები და ესაუბრონ მათ მათი მდგომარეობის საკითხებზე. მაგრამ თქვენი მხარის ბანაკის ხელისუფლებმა განაცხადეს, რომ წითელი ჯვრის წარმომადგენლებს შეუძლიათ ესაუბრონ ტყვეთა მხოლოდ ერთ წარმომადგენელს პატარა სექტორში.

გარდა ამისა, თქვენი მხარის სამხედრო ხელისუფლებმა დაუსაბუთებლად განაცხადეს, რომ ჩვენი მხარის წარმომადგენლებს შეუძლიათ მივიდნენ სამხედრო ტყვეთა ბანაკების საცხოვრებელ და დამხმარე შენობებში მხოლოდ მაშინ, როცა იქ ჩვენი ტყვეები არ არიან და რომ მათ შეუძლიათ სატრანსპორტო გემებზე ავიდნენ მანამდე, სანამ იქ ჩვენს ტყვეებს ჩასხამდნენ. ყველა ეს ფაქტი მოწმობს, რომ თქვენი მხარე დღემდე სხვადასხვა დაუსაბუთებელ შეზღუდვას უქმნის ჩვენი მხარის წარმომადგენელთა საქმიანობას და ყოველნაირად აფერხებს მათს მუშაობას. ეს დაზავებაზე შეთანხმებისა და წითელი ჯვრის შერეული ჯგუფების საქმიანობის შესახებ შეთანხმების დებულებათა აშკარა დარღვევაა. რაც უნდა ქნას თქვენმა მხარემ, იგი ვერ გაამართლებს უდავო ფაქტებს. თქვენი მხარე ვერ გაექცევა ამ ფაქტებისათვის პასუხისმგებლობას.

პეკინი, 20 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან გადმოგვცემს:

კორეა-ჩინეთის მხარემ დღეს ამერიკელებს გადასცა 150 არაკორეელი სამხედრო ტყვე და 300 კორეელი სამხედრო ტყვე. არაკორეელ სამხედრო ტყვეთა შორის იყო 60 ამერიკელი და 90 ინგლისელი. საერთო რიცხვით რეპატრირებულ იქნა 450 სამხედრო ტყვე — 50-ით მეტი, ვიდრე შეთანხმებით არის გათვალისწინებული.

ამერიკის მხარეს დღეს არც ერთი სამხედრო ტყვე არ დაუბრუნებია.

## სინხუას სააგენტო ამერიკელ ხელისუფალთა მიერ დაზავების შეთანხმების დარღვევის შესახებ

პეკინი, 20 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

დღეს დაზავების სამხედრო კომისიის წინადადება მიეცა გამოიკვლიო ამ დაბრკოლებათა ფაქტები, რასაც ამერიკელი სამხედრო ხელისუფალნი სამხრეთ კორეაში სამხედრო ტყვეთა ბანაკების დათვალიერების საქმეში წითელი ჯვრის წარმომადგენლებს უქმნიან. დღეს გენერალმა ლი სან ჩომ წინადადება შეიტანა წითელი ჯვრის შერეული ჯგუფების ცენტრალური ჯგუფი გაიგზავნოს კუნძულ კოჯედოზე, ონნდინფხოში და მდინარე ინჯინგანის (მუნსანის ახლო) რაიონში შეთანხმების დარღვევის ამ ფაქტების გამოსაკვლევად წითელი ჯვრის შერეული ჯგუფის კორეელი და ჩინელი წევრები კესონს დაბრუნდნენ კუნძულ ჩეჯუდოდან და ჰუსანიდან იმის გამო, რომ ამერიკელ ხელისუფალთა მიერ შექმნილმა დაბრკოლებებმა მათ მოუსპეს შესაძლებლობა შეასრულონ თავიანთი ჰუმანური მოვალეობანი, როგორც ეს გათვალისწინებულია დაზავების შესახებ შეთანხმებით.

დაზავების სამხედრო კომისიის მთავარ ამერიკელ დელეგატს ბრაიანს პასუხი არ გაუცია. მან განაცხადა, რომ „მალე“ გამოთქვამს თავის თვალსაზრისს ლი სან ჩოს წინადადებაზე. პასუხის გაჭიანურება წინადადებაზე — გამოკვლევისათვის გაიგზავნოს წითელი ჯვრის შერეული ჯგუფი — იმის მომასწავებელი იქნება, რომ წითელი ჯვრის წარმომადგენლები ვერც შემდეგში შეძლებენ განაგრძონ თავიანთი მუშაობა იმ შეზღუდვათა შედეგად, რომლებსაც ამერიკელი სამხედრო ხელისუფალნი ქმნიან.

ეს უკანონო შეზღუდვა იქამდე მივიდა, რომ ამერიკელი მცველები არ მოერიდნენ იარაღი ეხმარათ ჩინეთის წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენლის წინააღმდეგ მხოლოდ იმისათვის, რომ იგი კარვიდან გავიდა, რათა შეეხედნა სამხედრო ტყვეებისათვის, რომლებიც მუნსანზე გავლით მიდიოდნენ. კუნძულ კოჯედოზე წითელი ჯვრის კორეელ და ჩინელ წარმომადგენლებს აუკრძალეს იმ ტერიტორიაზე შესვლა, სადაც სამხედრო ტყვეები იმყოფებიან. მათ აუკრძალეს მოეხდინათ საცხოვრებელი შენობების, სასადილოების, სამზარეულოს და სატრანსპორტო საშუალებათა ინსპექტირება სამხედრო ტყვეთა თანდასწრებით. სხვა ადგილებში წითელი ჯვრის წარმომადგენლები არსებითად მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას ესაუბრნათ სამხედრო ტყვეებთან, რადგან ამისათვის მათ ეძლეოდათ მეტად შეზღუდული დრო, რომელიც ამასთან მცირდებოდა ამერიკელ სამხედრო ხელისუფალთა ჩარევის შედეგად. წითელი ჯვრის კორეელი და ჩინელი წარმომადგენლები მთელი საათის განმავლობაში განიცდიდნენ იმ გაზის მოქმედებას, რომელიც ამერიკელებმა 9 აგვისტოს კუნძულ კოჯედოზე გამოიყენეს.

საგულისხმოა, რომ ეს წინასწარგანზრახული დაბრკოლება სამხრეთ კორეაში წითელი ჯვრის წარმომადგენელთა მიერ სამხედრო ტყვეთა ბანაკების ნახვის საქმეში ხდება იმ დროს, როცა ამერიკელი სამხედრო ხელისუფალნი კვლავ ფგულებელყოფენ პროტესტებს გაზების გამოყენებისა და სამხედრო ტყვეთა მოზამკლის წინააღმდეგ პანმინჯონს გაგზავნის დროს. იმ ჭრილობათა შედეგად, რომლებიც წარმოიშვა გაზის გრანატების გამოყენებით, რომლებსაც ამერიკელი სამხედრო ხელისუფალნი „არაშხამიან“ გაზებს ეძახიან, კესონში გარდაიცვალა ორი სამხედრო ტყვე კორეის სახალხო არმიის შემადგენლობიდან. რამდენიმე სხვა სამხედრო ტყვე მძიმე მდგომარეობაშია.

ბრაიანი კვლავ დუმს იმ მტკიცე პროტესტის შესახებ, რომელიც გენერალმა ლი სან ჩომ ათი დღის წინათ განუცხადა დაზავების სამხედრო კომისიას. ეს პროტესტი გამოიწვია ამერიკელთა მიერ დაზავების შეთანხმების სერიოზულმა დარღვევამ, რამდენადაც ამერიკელები ჩან კაი-შის ეხმარებიან ტყვე ჩინელების ტაივანზე ძალად გაგზავნის გეგმის განხორციელებაში. მაშინ, როცა შეზღუდვათა შედეგად წითელი ჯვრის კორეელი და ჩინელი წარმომადგენლები მოკლებული არიან შესაძლებლობას შეხვდნენ ტყვე ჩინელებს კუნძულ ჩეჯუდოზე, ამერიკელი სამხედრო ხელისუფალნი ბანაკებში ავრცელებენ გამცემ ჩან კაი-შის განცხადებათა ფოტოპირებს. ჩან კაი-ში სამხედრო ტყვეებს ემუქრება და აფრთხილებს, რომ მათ არ მოითხოვონ რეპატრიაცია. მაშინ, როცა წითელი ჯვრის წარმომადგენლებს ნებას არ აძლევენ გაანაწილონ საჩუქრები იმ უაზრო საბაბით, რომ დაკონსერვებულ პროდუქტებში „ალმები“ ინახება, ამერიკელი სამხედრო ხელისუფალნი ბანაკებში რადიოთი გადასცემენ ჩან კაი-შის მუქარას.

მეთვალყურენი აღნიშნავენ, რომ ამერიკელ სამხედრო ხელისუფალთა მიერ პროტესტების უგულებელყოფის მიზანი სავსებით ცხადია. სამხედრო ტყვეთა დარბევის განგრძობა, წითელი ჯვრის წარმომადგენელთა მიერ სამხედრო ტყვეების ბანაკების ნახვის საქმეში დაბრკოლების შექმნა, ჩან კაი-შისათვის დახმარების გაწევა სამხედრო ტყვეთა მიმართ მუქარის გავრცელებაში — ყოველივე ეს სამხედრო ტყვეთა ძალად დაკავების ამერიკის გეგმის შემადგენელი ნაწილია.

# ამერიკის სამხედრო ხელისუფალნი აბრკოლებენ სამხრეთ კორეაში წითელი ჯვრის წარმომადგენელთა მუშაობას

პეკინი, 20 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა 19 აგვისტოს გადასცა კესონიდან:

ამერიკელთა დაუსრულებელმა ობსტრუქციებმა აიძულა კორეისა და ჩინეთის წითელი ჯვრის საზოგადოებათა წარმომადგენლები, რომელნიც დადიან პუსანის რაიონის სამხედრო ტყვეთა ბანაკებში, გუშინ პანმინჯონს დაბრუნებულიყვნენ. წითელი ჯვრის წარმომადგენლები იძულებული გახდნენ შეეჩერებინათ თავიანთი საქმიანობა 8 აგვისტოდან და მას შემდეგ ვერ განაახლეს თავიანთი მუშაობა ათი დღის განმავლობაში.

კორეისა და ჩინეთის წითელი ჯვრის საზოგადოებათა წარმომადგენლები პუსანს ჩავიდნენ 4 აგვისტოს. მათ მხოლოდ 6 აგვისტოს მიიღეს იმის ნებართვა, რომ კორეა-ჩინეთის მხარის 8 სამხედრო ტყვესთან ესაუბრათ სამხედრო ტყვეთა ბანაკის ამერიკელი კომენდანტის სამმართველოს შენობაში. ეს 8 სამხედრო ტყვე ავადმყოფი, დასახიჩრებული და ქანცგამოლეული იყო. ზოგიერთი მათგანი ყავარჯნით დადიოდა. ბანაკის კომენდანტმა რაიონმა აუკრძალა მათ დაჯდომა, მიუხედავად წითელი ჯვრის წარმომადგენელთა თხოვნისა. როცა კორეა-ჩინეთის წარმომადგენლები წერილს უკითხავდნენ სამხედრო ტყვეებს და თანაგრძნობას უცხადებდნენ მათ, კომენდანტმა უბრძანა მცველს წაეყვანათ სამხედრო ტყვეები შენობიდან იმ საბაბით, რომ ეს წერილი ცენზურის შემოწმებული არ არისო.

კორეა-ჩინეთის წარმომადგენლებმა 7 აგვისტოს მიიღეს ნებართვა, რომ მეორე საუბარი მოეწყოთ სამხედრო ტყვეებთან, მაგრამ სამხედრო ტყვეთა რიცხვი საუბრისათვის ორი კაცით განსაზღვრეს. საუბრის დროს სხვადასხვა დაბრკოლებას ქმნიდნენ. მაგალითად, წითელი ჯვრის წარმომადგენელთა თვითეული წინადადება ახ კითხვა უნდა ეთარგმნათ ინგლისურ ენაზე, რათა შეეიმოწმებინა რაიანს. თვითეული კითხვის ან წინადადების შემდეგ საუბრის განგრძობა შეიძლებოდა მხოლოდ კომენდანტის ნებართვით. მალე ამერიკის ბანაკის ხელისუფლებმა კორეა-ჩინეთის წარმომადგენელნი აიძულეს საერთოდ შეეწყვიტათ საუბარი და დაეტოვებინათ ბანაკი „ინკინდენტების“ თავიდან აცილების საბაბით.

ბანაკის ამერიკელმა ხელისუფლებმა კორეა-ჩინეთის მხარის სამხედრო ტყვეებს აუკრძალეს მისალმებოდნენ წითელი ჯვრის წარმომადგენლებს, როცა ისინი პუსანს ჩავიდნენ. კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეებს, რომ „ვერ დაენახათ“ წითელი ჯვრის წარმომადგენლები, ამერიკელმა ხელისუფლებმა ცრემლსადენი გაზები გამოიყენეს.

8 აგვისტოს საღამოს კორეისა და ჩინეთის წითელი ჯვრის საზოგადოებათა წარმომადგენლები პუსანის ქვეჯგუფში აიძულებული გახდნენ მუშაობა შეეწყვიტათ მას შემდეგ, რაც ამერიკელმა სამხედრო ხელისუფლებმა პუსანში გამოაცხადეს სამხედრო ტყვეთა ბანაკების სარდლის გენერალ-მაიორ მაკ გარის ინსტრუქციები, რომლებიც თვითნებურად აწესებენ შეზღუდვებს წითელი ჯვრის ჯგუფების მიერ სამხედრო ტყვეთა ბანაკებში მისვლის მხრივ.

ამერიკელთა ობსტრუქციების გამო, რომლებითაც უხეშად ირღვევა დაზავებაზე შეთანხმების შესაბამისი დებულებანი, კორეა-ჩინეთის წარმომადგენლები პუსანის ქვეჯგუფში, ისევე როგორც კუნძულ ჩეჯუდოს ქვეჯგუფში, იძულებული გახდნენ პანმინჯონს დაბრუნებულიყვნენ.

# საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები ფეხბურთში

## „სპარტაკის“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (ბუდაპეშტი)

ბუდაპეშტის ანალი სტადიონზე გახსნა უნგრელ მშრომელთა ზეიმად გადაიქცა. ეს სტადიონი ერთ-ერთი საუკეთესოდ მოწყობილი და უდიდესია ევროპაში.

20 აგვისტოს 80 ათასამდე მშრომელი ესწრებოდა სტადიონის გახსნას. მოეწყო ფიზკულტურელთა პარადი, შეჯიბრება სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში მოსკოვის „სპარტაკისა“ და ბუდაპეშტის „ჰონვედის“ გუნდებს შორის. დედაქალაქის სპარტაკელები ბუდაპეშტში მიიწვიეს უნგრეთის სასპორტო ორგანიზაციებმა.

თამაში მაღალი ტემპით დაიწყო. ორივე გუნდი შესანიშნავი ოსტატობით იბრძოდა. 25-ე წუთზე სპარტაკელთა მიერ გათამაშებული ლამაზი კომბინაცია გოლით დაგვირგვინდა. ბურთი გაიტანა დამცველმა სედოვმა. შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა მოსკოველთა სასარგებლოდ 1 : 0.

მეორე ტაიმში „ჰონვედის“ თავდამსხმელმა ჰუშკაშმა საპასუხო ბურთი გაიტანა სპარტაკელთა კარში, ხოლო 28-ე წუთზე უნგრელებმა ანგარიში 2 : 1-მდე აიყვანეს. ორი წუთის შემდეგ მოსკოველმა ფეხბურთელებმა გაათანაბრეს ანგარიში, მაგრამ მალე უნგრელმა სპორტსმენებმა მესამე ბურთი გაიტანეს „სპარტაკის“ კარში და მოიგეს შეჯიბრება ანგარიშით 3 : 2.

* * *

ბუდაპეშტის „ჰონვედი“ (უნგრეთის სახალხო არმიის სასპორტო საზოგადოება) უნგრეთის 1952 წლის ჩემპიონია. მიმდინარე წლის ჩემპიონატის პირველ წრეში „ჰონვედის“ ფეხბურთელთა კოლექტივმა 26 შესაძლებლიდან შეგროვილი 23 ქულით (ბურთების შეფარდება 49 : 18) პირველი ადგილი დიაკავა. „ჰონვედის“ თერთმეტეულ ძირითადი მოთამაშე უნგრეთის ნაკრებში შედის. მათ შორის არიან ცნობილი ფეხბურთელები პუშკაში, კოჩიში, გროშიჩი და სხვები.

## „ტორპედო“ (მოსკოვი) — აღმოსავლეთ ბენგალიის ქ. კალკუტის სასპორტო კლუბი

**21 აგვისტო.** მოსკოვის ცენტრალური სტადიონი სავსე იყო სპორტის მოყვარულებით. აქ გაიმართა მორიგი საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში დედაქალაქის „ტორპედოსა“ და აღმოსავლეთ ბენგალიის ქ. კალკუტის სასპორტო კლუბის „დურალინგის“ გუნდებს შორის.

პირველი ორი ბურთი მე-2 და მე-10 წუთებზე გაიტანეს ტორპედოელებმა, მაგრამ მე-18 და 28-ე წუთებზე ინდოეთის ფეხბურთელებმა გაათანაბრეს ანგარიში. ტაიმი დამთავრდა 2:2. შეჯიბრების მეორე ნახევარში ორივე გუნდმა თითო ბურთით გაზარდა ანგარიში. საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 3:3.

## სასპორტო საქმენელი

საქართველოს სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს სავაჭრო ქსელი მომსახურებას უწევს ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს. სავაჭრო ქსელს 10 სპეციალიზებული მაღაზია აქვს, მათ შორის სამი მაღაზია თბილისში.

წელს „დინამოს“ მაღაზიებში ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა და მშრომელებმა 11.177.000 მანეთის სასპორტო საქონელი შეიძინეს. აქედან 6.406.000 მანეთის საქონელი მარტო თბილისში გაიყიდა.

„დინამოს“ რესპუბლიკურ საბჭოს 5 საკუთარი წარმოება აქვს. ტრიკოტაჟისა და ფეხსაცმლისა — ნავთლუღში, მძიმე სასპორტო ინვენტარისა — საბურთალოზე, მხატვრული ნაწარმისა — საგურამოს ქუჩაზე და ბამბუკის ნაწარმისა — სუხუმში.

## ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაათავისუფლა:

ამხ. **ხ. მ. ბეჟანოვი** საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან.

ამხ. **თ. ნ. ქვლივიძე** საქართველოს სსრ აღგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან, სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. **ვ. დ. ბუჯიაშვილი** საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრის მოადგილედ. (საქდესი).

1953 წლის 24 აგვისტოს, დილის 10 საათზე, მოწვეულია **გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტთა თათბირი.**

რედაქტორი **დ. მჟედლიშვილი.**

1953 წლის 1 ოქტომბრამდე ა. კ. მეტალურგშენის ხიდამმუშავებელი კომბინატი აწარმოებს უფასოდ ნახერხის გაცემას ორგანიზაციებსა და კერძო პირებზე.

მისამართი ქ. რუსთაველი ა. კ. მეტალურგშენის ხიდამმუშავებელი კომბინატი.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომა

ნიუ-იორკი, 21 აგვისტო. (საკდესი). 20 აგვისტოს გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ ა. ა. ვიშინსკი, შეერხებული შტატების წარმომადგენელი ლოჯი და სხვები.

გენერალური ასამბლეის 8 აპრილის რეზოლუციის თანახმად, განიარაღების კომისიამ არა უგვიანეს 1953 წლის 1 სექტემბრისა, უშიშროების საბჭოს და გენერალურ ასამბლეას უნდა წარუდგინოს თავისი მოხსენება. ამ რეზოლუციასთან დაკავშირებით საბერძნეთის წარმომადგენელმა კირუმ, რომელიც კომისიის თავმჯდომარეობს აგვისტოში, კომისიის ეს სხდომა მოიწვია.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა განიარაღების კომისიის თავმჯდომარის მიერ მომზადებული მოხსენების პროექტი. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 1953 წლის 8 აპრილიდან, როცა მიღებულ იქნა გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიას სხდომები არ მოუწყვია. შემდეგ მოხსენებაში ნათქვამია: „არსებობს იმედი, რომ უკანასკნელ დროს მომხდარი საერთაშორისო ამბები ქმნიან უფრო ხელსაყრელ ატმოსფეროს განიარაღების საკითხის ახალი განხილვისათვის, რასაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს სხვა საკითხებთან ერთად, რომელთა გავლენა მშვიდობის შენარჩუნებაზე, ყველას მიერ აღიარებულია. კომიტეტ განიარაღების კომისია მოელის, რომ განგრძობილ იქნება მისი მუშაობა, და წინადადებას იძლევა მოხსენება წარედგინოს გენერალური ასამბლეის მერვე სესიასა და უშიშროების საბჭოს“.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის ა. ი. ვიშინსკის წინადადებით მოხსენების პროექტი ერთხმად დამტკიცდა.

# ირანის ამბები

თეირანი, 20 აგვისტო. (საკდესი). დღეს გამოვიდა გაზეთ „ათეშბარე შარკის“ საგანგებო გამოშვება, რომელშიც ამტკიცებენ, რომ დოქტორი მოსადიკი თითქოს დაპატიმრეს გენერალ ზაჰედის მომხრეებმა და გაგზავნეს საადგილის სასახლეში.

ამავე გამოშვებაში ნათქვამია, რომ ყოფილი პარლამენტის ფრაქციის „ეროვნული მოძრაობის“ (რომელიც მხარს უჭერს მოსადიკს. — რედ.) წევრები შეგვანი, რაზავი, სანჯაბი, ჰასანი, ზირაქ-ზადე და სხვები გიიქცნენ

პარიზი, 20 აგვისტო. (საკდესი). როგორც თეირანიდან იუწყებიან, დღეს იქ შეტაკებები მოხდა მოსადიკისა და ზაჰედის მომხრეთა შორის.

ზოგიერთი ცნობის თანახმად, ირანის სამხრეთში კაშკაელთა ტომმა გაილაშქრა ზაჰედის მომხრეთა წინააღმდეგ. ამ ტომს, პარიზის რადიოს ცნობით, დაახლოებით 20 ათასი მეომარი ყავს.

ნიუ-იორკი, 20 აგვისტო. (საკდესი). ცნობები და პრესის კომენტარები ირანის ამბების გამო მოწმობენ, რომ მმართველი კაპიტალისტური წრეები ვერ მალავენ სიხარულს ამ ამბების გამო.

გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ პირველ გვერდზე სათაურით: „ვაშინგტონი აღტაცებულია ირანში მომხდარი გადატრიალებით“ ათავსებს ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ, „თუმცა გარეგნულად ამერიკელ ოფიციალურ წარმომადგენლებს თავი ნეიტრალურად უკავიათ, გულში აღტაცებული არიან სამხედრო გადატრიალების პირველი წარმატებებით“.

## ძინანში აღმოაჩინეს ჯაშუშური ორგანიზაცია

შანხაი, 20 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „ძეფანციბაო“ იუწყება, რომ მოსახლეობისა და კათოლიკე პატრიოტების ჯგუფის დახმარებით ქალაქ ძინანის საზოგადოებრივი უშიშროების ორგანოებმა აღმოაჩინეს ჯაშუშური ორგანიზაცია „ეროვნული ხსნის კორპუსი“. ეს ორგანიზაცია ძინანში შეიქმნა 1946 წლის 24 ნოემბერს ამერიკელი იმპერიალისტებისა და ჩანკაიშელთა დაზვერვის უფროსის ფანი ლის მითითებით და ხელმძღვანელობით. ჯაშუშური ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო კათოლიკე მღვდელი ბელგიელი რაიმონდ დე ეკერი.

საზოგადოებრივი უშიშროების ორგანოებმა დაიპატიმრეს ამერიკელთა და ჩანკაიშელთა დაქირავებული აგენტები ჩენ ჯენ-ხუა, კათოლიკე მღვდლები გო ციუან-დაო, ლიუ ძინ-შანი და ჯაო ძე-პინი. დაპატიმრებულთ უპოვნეს ამერიკული ნიმუშის რადიოგადამცემი და რადიომიმღები, რუკები, გეგმები, პასპორტები, ინსტრუქციები, ჯაშუშური ჩანაწერები, სიები და ჯაშუშურ საქმიანობაში მათი მამხილებელი სხვა საგნები და დოკუმენტები.